პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 14 იანვარი, 1945 წ. № 10 (7225). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ბრძანება უმაღლესი მთავარსარდლისა (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 13 იანვრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).
ფინეთსა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო მოლაპარაკების გამო (1-ლი გვერდი).
ამხანაგ სტალინის წიგნის — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" — მეოთხე გამოცემა უკრაინულ ენაზე (1-ლი გვერდი).
მოენეთა მონადირე (1-ლი გვერდი).
მოსკოვის ამბები (1-ლი გვერდი).
ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვი (მე-3 გვერდი).
ლ. გროსმანი — გრიბოედოვი (მე-2 გვერდი).
მეომართა წერილები მოქმედი არმიიდან (მე-2 გვერდი).
ი. გლოტოვი — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
თელავის მუზეუმის ათი წლისთავი (მე-4 გვერდი).
პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის I სამეცნიერო სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარების სარდალს
საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს
ფრონტის შტაბის უფროსს
არმიის გენერალ სოკოლოვსკის

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები 12 იანვარს სანდომირის დასავლეთით მდებარე რაიონიდან შეტევაზე გადავიდნენ და, მიუხედავად ამინდის ცუდი პირობებისა, რაც შეუძლებელს ხდიდა ავიაციის საბრძოლო დახმარებას, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა 40 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე. მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძლავრსა და კარგად ორგანიზებულ საარტილერიო შეტევას.

ორი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში ფრონტის ჯარებმა წინ წაიწიეს 40 კილომეტრამდე, ამასთან გააფართოვეს გარღვევა 60 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა იერიშით დაიკავეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტები შიდლუვი, სტოპნიცა, ხმელნიკი, ბუსკო-ზდრუი (ბუსკი), ვისლიცა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 350-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

ბრძოლებში გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ პუხოვის, გენერალ-პოლკოვნიკ კოროტეევის, გენერალ-პოლკოვნიკ ჟადოვის, გენერალ-ლეიტენანტ მალანდინის, გენერალ-მაიორ კოლომინოვის, გენერალ-მაიორ ლიამინის, გენერალ-მაიორ პუზიკოვის, გენერალ-ლეიტენანტ ჩეროკმანოვის, გენერალ-მაიორ მარტიროსიანის, გენერალ-მაიორ ლატიშევის, გენერალ-ლეიტენანტ როდიმცევის, გენერალ-ლეიტენანტ ლებედენკოს, გენერალ-მაიორ ბაკლანოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ სემიონოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კუზნეევის, არტილერიის გენერალ-მაიორ ფაუსტოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ პოლუექტოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კოროლკოვის, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტ კოჟუხოვის, არტილერიის გენერალ-მაიორ ხუსიდის, არტილერიის გენერალ-მაიორ კოფანოვის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ნოვიკოვის, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კუზნეცოვის, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ პოლუბოიაროვის ტანკისტებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ გალიცკის მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ ბულიჩევის მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ბრძოლებში გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 13 იანვარს, 21 საათსა და 30 წუთზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდათხუთმეტი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

**უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი**

1945 წლის 13 იანვარი.
№ 219.

ფინეთსა და სსრ კავშირს შორის სავაჭრო მოლაპარაკების გამო

ამ დღეებში ფინეთსა და სსრ კავშირს შორის დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის სავაჭრო ორგანოების მიერ ფინეთის მომარაგების შესახებ კვების პროდუქტებით, რომლებიც გადაცვლილ იქნება იმ სტრატეგიულ ნედლეულზე, რასაც ფინეთი საბჭოთა კავშირს მოაწოდებს.

მოლაპარაკების გეგმით სსრ კავშირი ფინეთს აწვდის 30 ათას ტონა სასურსათო მარცვლეულს, 1.000 ტონა შაქარს და 300 ტონა საკონდიტრო ნაწარმს. ამ პროდუქტების ნაცვლად სსრ კავშირი ფინეთისაგან იღებს ნიკელს, კობალტს, სპილენძს, გოგირდის ალმადანს და ფინეთის გემთსაშენებში რემონტი გაუკეთდება ზოგიერთ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ხომალდს. (საკდესი).

ამხანაგ სტალინის წიგნის—„საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ"—მეოთხე გამოცემა უკრაინულ ენაზე

უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობა უკრაინულ ენაზე უშვებს მეოთხე გამოცემას ამხანაგ სტალინის წიგნისას „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ". (საკდესი).

საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის წევრების ყოფნა ბორდოსა, ტულუზსა და ლილში

ტულუზი, 12 იანვარი. (საკდესი). საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის წევრებმა ბორდოდან ტულუზში გამომგზავრების წინ ინახულეს გემთსაშენები და საავიაციო ქარხანა, სადაც მათ მხურვალე მეგობრული მიღება მოუწყეს.

ბორდოს პროფკავშირთა ლიდერებმა საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის წევრებს უამბეს, რომ პროფკავშირები ამჟამად განიხილავენ ტრანსპორტის აღდგენისათვის უმუშევართა გამოყენების საკითხს.

ბორდოს რაიონის წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზაციამ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების აღსანიშნავად მოუწოდა მუშებს გამოიყენონ საწარმოთა ყველა შესაძლებლობანი იმისათვის, რომ შეაკეთონ ფრონტის საჭიროებისათვის ბორდოში არსებული სატვირთო ავტომანქანები, ორთქლმავლები, აგრეთვე პროგრამის გადამეტებით აგონ 50 ვაგონი და ერთი ორთქლმავალი.

ტულუზში საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის წევრები მიიღეს მერმა და ქალაქის პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. პროფკავშირთა სახლში შესდგა მიტინგი ადგილობრივ საწარმოთა 600 მუშის მონაწილეობით. ზემო ჰარონის დეპარტამენტის პროფკავშირთა გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ფორგიუმ პროფკავშირების წევრთა სახელით აღტაცება გამოსთქვა „საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელთა გიგანტური ღონისძიებების გამო სამხედრო წარმოების ორგანიზაციის საქმეში".

დამსწრენი ხშირად უკრავდნენ ტაშს დელეგაციის წევრებს—ამხანაგებს სოლოვიოვსა და კოშელევს, რომლებმაც თავიანთ სიტყვებში უამბეს დამსწრეთ საბჭოთა ხალხის სამხედრო ღონისძიებათა შესახებ და მოწოდებით მიმართეს ტულუზის პროფკავშირებს გააძლიერონ მუშაობა სამხედრო საწარმოებში, ხელი შეუწყონ დემოკრატიული ქვეყნების მშრომელთა პროფკავშირულ ერთიანობას.

საღამოს ტულუზის საოპერო თეატრში შესდგა ფრანგული და რუსული მუსიკის დიდი კონცერტი, რომელიც საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის პატივსაცემად მოეწყო. ორკესტრმა შეასრულა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ფრანს პრესი ლილიდან იუწყება, რომ საბჭოთა პროფკავშირული დელეგაციის წევრები გასენიკი და გავრილოვი ლილში ოფიციალურად იქნენ მიღებულნი პრეფექტურასა და ქალაქის რატუშაში. დელეგატები დაესწრნენ მიტინგს, რომელზეც სიტყვით გამოსული ორატორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მნიშვნელობას.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
13 იანვრის ოპერატიული ცნობა

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები 12 იანვარს სანდომირის დასავლეთით მდებარე რაიონიდან შეტევაზე გადავიდნენ და, მიუხედავად ამინდის ცუდი პირობებისა, რაც შეუძლებელს ხდიდა ავიაციის საბრძოლო დახმარებას, გაარღვიეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა 40 კილომეტრი სიგრძის ფრონტზე.

მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძლავრსა და კარგად ორგანიზებულ საარტილერიო შეტევას.

ორი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში ფრონტის ჯარებმა წინ წაიწიეს 40 კილომეტრამდე, ამასთან გააფართოვეს გარღვევა 60 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ჩვენმა ჯარებმა იერიშით დაიკავეს მოწინააღმდეგის თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტები შიდლუვი, სტოპნიცა, ხმელნიკი, ბუსკო-ზდრუი (ბუსკი), ვისლიცა, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 350-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ჩიჟუვი, შეცნო, სკშელჩიცე, ლუბანია, სლადკუვი, მლინი, ბალუვი, პასტურკა, გოგუციცე, ზაგოსცი, სკოტნიკი, სტროჟისკა, ბუოსტკუვი.

ქალაქ ბუდაპეშტში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ ბრძოლებს გერმანელთა და უნგრელთა გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად, 94 უბანი დაიკავეს.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

12 იანვარს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 36 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 8 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები 12 იანვარს შეტევაზე გადავიდნენ ქალაქ სანდომირის დასავლეთით მდებარე რაიონიდან. დილაადრიან ჩვენი მეწინავე რაზმები შეიჭრნენ მოწინააღმდეგის სანგრებში და ხანმოკლე ბრძოლის შედეგად დაიკავეს ისინი. შემდეგ დაიწყო მძლავრი საარტილერიო შეტევა. სხვადასხვა სისტემისა და ყალიბის ქვემეხები თავს დაატყდნენ გერმანელთა პოზიციებს ცეცხლის გრიგალით. თითქმის ორი საათის განმავლობაში საბჭოთა არტილერია ამსხვრევდა და ანადგურებდა მტრის თავდაცვას, რომელიც აგებულია დიდ სიღრმეზე. მოწინააღმდეგის ხანგრძლივი საცეცხლე წერტები, ძელმიწური საცეცხლე წერტები და ბლინდაჟები, ტყვიამფრქვევთა ბუდეები და საარტილერიო პოზიციები დანგრეულ და ჩაჩუმებულ იქნენ. დაახლოებით შუადღისას ცეცხლის ტალღას თან მიჰყვნენ ქვეითი ჯარის ძირითადი ძალები. ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის მთავარი თავდაცვითი ზოლი. პირველი, გამაგრებული ხაზიდან მეორემდე გადაჭიმული იყო მთლიანი ნაღმიანი ველები. საბჭოთა მესანგრეებმა სწრაფად გააკეთეს სასვლელები ამ ველებში და გზა გაუკაფეს ქვეითებს. ჩვენმა ჯარებმა სწრაფი დარტყმით გაარღვიეს გერმანელთა სიმაგრეების მეორე, ხოლო შემდეგ მესამე ხაზი. მტრის წინააღმდეგობას სძლევს ჩვენი ჯარების გადამწყვეტი მოქმედება. საბჭოთა მებრძოლები გარს ერტყმიან მტრის თავდაცვის დასაყრდენ პუნქტებს. ქვეგანაყოფები, რომლებიც მეწინავე ნაწილებს მიჰყვებიან, სპობენ ზურგში დარჩენილ გერმანელთა ჯგუფებს და წინააღმდეგობის კერებს. საბჭოთა მებრძოლები სძლევენ მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას. მინდვრებში მოლიპული ბლანტი ნიადაგია. გერმანელებს ყველგან ჩაუწყვიათ ნაღმები, გაუკეთებიათ მახეები და ხაფანგები. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენმა ჯარებმა ორი დღის განმავლობაში ბრძოლებით წაიწიეს წინ 40 კილომეტრამდე. დაკავებულია გზატკეცილთა დიდმნიშვნელოვანი კვანძები და გერმანელთა თავდაცვის დასაყრდენი პუნქტები. ბრძოლების მსვლელობაში მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოსდის. ჩვენი ნაწილების მიერ დაკავებულ პოზიციებზე ყრია მტრის ათასობით გვამი, დამსხვრეული ტექნიკა, საჭურველი და სამხედრო მასალა.

ტყვეები აცხადებენ, რომ საბჭოთა არტილერიამ უდიდესი ულეტა მოახდინა გერმანელთა ნაწილებში. გერმანელთა 168-ე ქვეითი დივიზიის 442-ე პოლკის ტყვე ჯარისკაცმა რუდოლფ იანცენმა განაცხადა: „არტილერიის ცეცხლისაგან ჩვენმა პოლკმა დაჰკარგა სულ ცოტა პირადი შემადგენლობის ნახევარი. მთელი ომის განმავლობაში არასოდეს არ განმიცდია ასეთი ჯოჯოხეთური ცეცხლი. რაღაც აუწერელი რამ ხდებოდა. ცოცხლად გადარჩენილი ჯარისკაცები სავსებით დემორალიზებული იყვნენ და გიჟებივით დადიოდნენ".

* * *

ბუდაპეშტში ჩვენი ჯარები, რომელნიც განაგრძობენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაციისათვის, დუნაისაკენ ერეკებიან მას. ჯერ კიდევ 1 იანვარს გერმანელთა სარდლობამ გამოუცხადა „ქვაბში" მოყოლილ თავის ჯარებს, რომ უახლოეს დღეებში სატანკო დივიზიები დაეხმარებიან და გარემოცვის რკალს გაარღვევენო. გარედან დახმარების იმედით ჰიტლერელები გააფთრებულ წინააღმდეგობას ეწევიან. მათ თხრილებით დასერეს ქუჩები. საცეცხლე წერტები მოაწყვს სარდაფებსა და ქვიტკირის შენობებში. საბჭოთა მოიერიშე რაზმები ბრძოლებით მიიწევენ წინ და სარდაფებიდან ერეკებიან მტერს. სარდაფებში, ეზოებში, ქუჩებში და სახლებს შიგნით მრავალი ხელჩართული შეტაკება ხდება. გვარდიის ნაწილმა, რომელმაც გუშინ კერეპეშის სასაფლაო დაიკავა, დღეს განდევნა გერმანელები მანქანათმშენებელი ქარხნიდან და რეზინის ფაბრიკიდან. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს საგარეუბნო მატარებელთა სადგური რაცკევე, ფერენცვაროშის ვაგზალი და მიადგნენ დუნაის რკინიგზის ხიდს. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში ტყვედ ჩავიგდეთ მოწინააღმდეგის 1.350 ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ხომალდებმა ბალტიის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის 6.000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი. ჩვენმა სანაპირო არტილერიამ მემელის ნავსადგურის რაიონში ჩასძირა გერმანელთა 4 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი.

* * *

ქალაქ კომარნოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყვედ ჩავიგდეთ გერმანელთა 711-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა ჯგუფი. 731-ე პოლკის ტყვე ეფრეიტორმა რუდოლფ აიზენკელერმა განაცხადა: „711-ე დივიზიაში გასული წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში მოვხვდი. იგი მაშინ ჰოლანდიაში იმყოფებოდა, ქალაქ უტრეხტის რაიონში. დივიზიას მეთაურობს გენერალ-მაიორი რაიდერტი. ჰოლანდიაში დღედაღამ სამხედრო საქმეს გვასწავლიდნენ. 28 დეკემბერს, დილით მეცადინეობა მოულოდნელად შეწყდა. დაიწყო სასწრაფო მზადება წამოსასვლელად. ჩვენი პოლკი მეორე დღესვე ჩასხეს რკინიგზის ეშელონებში. გზაში 5 დღეზე მეტხანს ვიყავით. გერმანიაზე რომ მოვდიოდი, დავინახე ინგლის-ამერიკის ავიაციის მიერ დანგრეული ბევრი რკინიგზის სადგური, დალეწილი ორთქლმავალი და დამსხვრეული ვაგონი. როცა უნგრეთში მოვედით, სასოწარკვეთილებაში ჩავვარდით. ბევრმა ჯარისკაცმა გამოსათხოვარი წერილი და ანდერძი მისწერა მშობლებს".

მოსკოვის ამბები

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ლომონოსოვის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია

მოსკოვის ნავთის ინსტიტუტში შესდგა თეორიული კონფერენცია, მიძღვნილი დიდი რუსი მეცნიერის ლომონოსოვის მრავალმხრივი მოღვაწეობისადმი. ლომონოსოვის ნაშრომებს ფიზიკის, ქიმიისა და გეოლოგიის დარგებში დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. კონფერენციაზე გამოსულმა მომხსენებლებმა მსმენელთ გააცნეს ლომონოსოვის აღმოჩენანი მეცნიერებაში, რომელნიც დღემდე ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას. მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ ლომონოსოვმა გენიალურად განჭვრიტა მოლეკულთა მოძრაობის ხასიათი, რამაც უკვე თანამედროვე ფიზიკოსთა ნაშრომებში ჰპოვა ბრწყინვალე განვითარება. ლომონოსოვმა იწინასწარმეტყველა გადახრა გაზის კანონთაგან, რაც დაკავშირებულია არამგრძნობიარე ფირფიტების ოდენობისა და ფორმების გათვალისწინებასთან.

თეორიულმა კონფერენციამ გააშუქა აგრეთვე ლომონოსოვის, როგორც დედამიწის ისტორიის მატერიალისტური გაგების ფუძემდებლის, რუსეთში გეოლოგიური მეცნიერების შემქმნელის მოღვაწეობა. ლომონოსოვი იცავდა და პროპაგანდას უწევდა მეცნიერებას, რომელიც სასარგებლო იყო სამშობლოსათვის.

პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში

პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მსოფლიო შედევრების კოლექცია, რომელიც გატანილი იყო მოსკოვიდან 1941 წელს, კვლავ თავის ადგილას მოიტანეს. მუზეუმის უმდიდრესი კოლექციები ღრმა ზურგში გაგზავნილი იყო განსაკუთრებული სიფრთხილით, სპეციალურად შეფუთული. ხელოვნების ასი ათასზე მეტმა სხვადასხვა ნაწარმოებმა დაიკავა მთელი სარკინიგზო შემადგენლობა, რომელსაც გზაში თან ახლდნენ მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელ-რესტავრატორები. ისინი ადგილობრივ ადევნებდნენ თვალყურს საჭირო ტემპერატურის დაცვას, საკონტროლოდ ხსნიდნენ ყუთებს, რის მეოხებითაც მოხერხდა ფერწერის, გრაფიკის, სკულპტურის მსოფლიო შედევრების მშვენივრად დაცვა. მსოფლიო ხელოვნების ნაწარმოებთა შორის, რომლებიც თავიანთ ადგილას დააბრუნეს, არის რუბენსის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „ვაკხანალია", აგრეთვე რემბრანდტის ცნობილი სურათი „ასურმანი და ესთერი".

სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობა

მოსკოვის ახლოს მდებარე რაიონებში დაიწყო მზადება სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის მშენებლობისათვის, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გაივლის მოსკოვის ოლქის ტერიტორიაზე. ოლქის მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს გაზსადენის მშენებლობისადმი. მოდიან მშენებელთა პირველი ჯგუფები.

მოსკოვის სახელოსნო სასწავლებლებსა და სკოლებში დაწყებულია კადრების მომზადება გაზსადენისათვის. მოსწავლენი თვითონ ამზადებენ საჭირო ინსტრუმენტებს. სარატოვიდან მოსკოვამდე მთელ გზაზე გაზსადენის მილები გადასერავენ ასზე მეტ მდინარეს და ხუთ ტბას. გაზსადენის აგებას მოხმარდება 50 ათას ტონაზე მეტი საერთო წონის ფოლადის მილი, მშენებლობას დასჭირდება 30 მილიონი ცალი აგური.

მოსკოვში უკვე შეუდგნენ მზადებას გაზის მისაღებად. მოსკოვს დასჭირდება 115 კილომეტრი ახალი გაზის ქსელის გაყვანა, საცხოვრებელ სახლებსა, კომუნალურ და სამრეწველო საწარმოებში 75 კილომეტრამდე გაყვანილობის გაკეთება. გარდა ამისა, მოსკოვში უნდა აიგოს 30 გამანაწილებელი სადგური. ისინი, საშუალებას მოგვცემენ საუკეთესოდ იქნეს განაწილებული გაზი ქსელით, რომელიც მას მომხმარებელს მიაწვდის.

გაზის ახალი მაგისტრალების ზევრი უბნის დაპროექტება უკვე დამთავრებულია. მშენებლები იღებენ ნახაზებს და უახლოეს დღეებში დაიწყებენ მუშაობას.

მოენეთა მონადირე

— ამხანაგო მაიორო,—ნება მიბოძეთ მოგახსენოთ: დავალება შესრულებულია, მოენე ვიშოვეთ!

ნაწილის მეთაურს წარუდგა ახალგაზრდა ჩასკვნილი მეომარი. მას სახე დამტვერიანებული ჰქონდა, მაგრამ მხიარული, ცოცხალი თვალები მხნეობას გამოხატავდნენ.

— ამხანაგო მაიორო, ამჯერად ობერ-ეფრეიტორი მოვიყვანე,—დასძინა ღიმილით მზვერავმა.

— მომილოცნია! მაშ ეს იქნება თქვენი ოცდამეათე მოენე.

„მოენეთა მონადირე"—ასე უწოდებენ მებრძოლები მამაც მზვერავ ვიქტორ ლიშანოვს. მის მიერ შეპყრობილი 30 ტყვე მისი საბრძოლო ცხოვრების მთელი ისტორიაა. თვითეული ოპერაცია ამ ოცდაათში ერთმანეთს არა ჰგავს.

ერთხელ ლიშანოვი, ღამით მორიგ მოენეზე ნადირობის დროს, ძნელ მდგომარეობაში ჩავარდა. გერმანელებმა თავიანთ განლაგებაში შეამჩნიეს ჩვენი მზვერავები. მთვარიანი, ნათელი ღამე იყო. ადამიანის ლანდი შორიდან მოსჩანდა. მზვერავებმა გაშლილი ადგილიდან ტყეში შეუხვიეს. ლიშანოვმა მიაძახა თავის ამხანაგებს:

— უკანმოუხედავად ირბინეთ და გაიყოლიეთ გერმანელები. მე კი აქ დავრჩები. ხომ არ შეიძლება შინ უმოენოდ დავბრუნდე.

და უხმაუროდ მიიმალა ხშირ ბუჩქნარში, გაინაბა.

გვერდით გამოურბინეს გერმანელებმა. ოციოდე კაცი იქნებოდა. ისინი ტყეში გაიფანტნენ, ზოგიერთი ჩამორჩა. ლიშანოვის ახლოს ქოშინით მირბოდა ჩამორჩენილი გერმანელი. „ეს ჩემია",—გაიფიქრა მზვერავმა და გაშალა კარავი—საწვიმარი. ლიშანოვმა მარჯვე ნახტომით წააქცია გერმანელი, წაახურა კარავი—საწვიმარი და მაგრად გაკოჭა თოკით, რომელიც მუდამ თან დაჰქონდა. თავის განლაგებაში ლიშანოვი მოენიანად დაბრუნდა.

...ჩვენი წინა კიდის ახლოს მაღლობზე მდებარე სოფლის ქუჩები დაცარიელებული იყო. მხოლოდ ხანდახან ჭასთან მიაპარებოდა თითო-ოროლა გერმანელი და წყალს იღებდა. ეს ლიშანოვმაც დაინახა. მან უთხრა მებრძოლებს:

— ნუ დააფრთხობთ მათ სროლით, ერთი ცოცხალი უნდა მოვიყვანოთ იქიდან.

საღამოს მზვერავი ჩასაფრდა ნახევრადდანგრეულ ქოხში ჭის ახლოს და დაიწყო ლოდინი. ღამის განმავლობაში არც ერთი ჰიტლერელი არ მისულა ჭასთან. თენდებოდა. „რა გაეწყობა, მოგვიხდება დღისით მუშაობა",—გადასწყვიტა ლიშანოვმა. დილის მზემ დაცარიელებული ქუჩა გაანათა. მზვერავმა ყურადღება გაამახვილა. ნელი ნაბიჯით დაბალი ქოხების ახლოს ჭისაკენ მიიპარებოდა გერმანელი. ფრთხილად მიიხედ-მოიხედა და ვედრო ჩაუშვა ჭაში. ლიშანოვმა დააცალა ჰიტლერელს წყლის ამოღება და, როცა მტერი უკან გამობრუნდა, მზვერავი ერთი ნახტომით მის გვერდით გაჩნდა. მან სტაცა ხელი გერმანელს და შეაგდო ნახევრადდანგრეულ ქოხში. ყოველივე ეს რამდენიმე წამში მოხდა. ჰიტლერელი ხელებგაკოჭილი იყო, პირში ჩერის ნაჭერი მოუჩაჩდა. ახლა საჭირო იყო დაჩქარება. როცა მზვერავმა ტყვე სოფელს იქით გაიყვანა, როგორც სჩანს, ჰიტლერელებმა შეამჩნიეს, რომ მათი წყლის მიმტანი სადღაც გაჰქრა და ჩოჩქოლი შექნეს. ჩვენმა მებრძოლებმა, რომლებმაც დაინახეს ყველაფერი, რაც ჭასთან მოხდა, სროლა აუტეხეს მტრის პოზიციებს, რათა დაეფარათ უკანდაბრუნებული ლიშანოვი.

— როგორც ხედავთ, ზვერვის დროს ყველაფერი ხდება,—სთქვა ლიშანოვმა და დაამთავრა თავისი საუბარი.

მის ირგვლივ ისხდნენ ახალგაზრდა მებრძოლები, რომლებსაც თავის სამხედრო სპეციალობად მზვერავობა აერჩიათ, მათ ხიბლავდა გამოცდილი მზვერავის ნაამბობი ოსტატობაზე, გამჭრიახობაზე, სიმარჯვეზე, ურომლისოდაც არ შეიძლება ადამიანი ნამდვილი მოენეთა მონადირე იყოს.

ლიშანოვს მკერდზე უბრწყინავს სამი საბრძოლო ორდენი და ორი მედალი.

კაპიტანი ე. კოსტინი

მოქმედი არმია, 13 იანვარი (საკდესის სპეც. კორ.).

თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოების თავმჯდომარეთა სრულიად-საკავშირო თათბირი

12 იანვარს მოსკოვში გაიხსნა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოების თავმჯდომარეთა სრულიად-საკავშირო თათბირი.

შესავალ სიტყვაში თავდაცვა - ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ავიაციის გენერალ-მაიორმა ამხ. კობელევმა ილაპარაკა წითელი არმიისათვის რეზერვების მომზადებაში თავდაცვა-ავიაქიმელთა უდიდესი როლისა და განთავისუფლებულ რაიონებში თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების საქმიანობის სწრაფად მოწყობის შესახებ. შემდეგ მოსმენილ იქნა უკრაინის, ბელორუსიის სს რესპუბლიკებისა და ვორონეჟის ოლქის თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოების თავმჯდომარეთა მოხსენებანი და თანამოხსენებანი ამ ორგანიზაციათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ.

თათბირი ამჟამად დღეს გაგრძელდება.

უკანასკნელი ცნობები

იტალიის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის რეზოლუცია იტალიის არმიის შექმნის შესახებ

რომი, 12 იანვარი. (საკდესი). იტალიის ნაციონალური განთავისუფლების ცენტრალურმა კომიტეტმა რეზოლუცია მიიღო იტალიის არმიის შექმნის საკითხზე.

ამ რეზოლუციაში, რომლის ტექსტიც გადაეცა პრემიერ-მინისტრ ბონომის, ნაციონალური განთავისუფლების ცენტრალური კომიტეტი მადლობასა და სოლიდარობას უცხადებს გმირ პატრიოტებს, რომელნიც გერმანელების მიერ ოკუპირებულ ზონაში იბრძოდნენ და ახლაც შეუპოვრად იბრძვიან, აგრეთვე იტალიელ მეზღვაურებს, ჯარისკაცებსა და მფრინავებს, რომელნიც წელიწადზე მეტია, რაც მოკავშირეთა არმიების მხარეზე ომობენ.

ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი რწმენას გამოსთქვამს, რომ „ნაცისტური ჩაგვრის წინააღმდეგ ომში თავისი გულწრფელი მონაწილეობით იტალიელმა ხალხმა დააკანონა თავისი იმედები, რომ უფრო ფართო და უფრო საგრძნობი დახმარება მიიღოს ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვებასა და თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის საერთო ბრძოლაში" და თავის რეზოლუციაში სთხოვს მთავრობას „აცნობოს მოკავშირეებს, რომ იტალიელებს სერიოზულად სურთ ჰყავდეთ ძლიერი არმია, რომელიც ახალი ნაციონალური შეგნებულობის გამოხატულება იქნება. ფრონტზე ამ არმიის გასვლა დააკმაყოფილებდა იტალიელი ხალხის მისწრაფებას უფრო ეფექტიანად შეუწყოს ხელი სამშობლოს „განთავისუფლებას და ბრძოლის ველზე მოიპოვოს სრული ნაციონალური ღირსება".

რომი, 12 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „უნიტა" კომენტარს უკეთებს ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის რეზოლუციას იტალიის ახალი ძლიერი არმიის შექმნის შესახებ და აღნიშნავს, რომ იტალიას მატერიალური და მორალური მხრივ ძალა შესწევს იხმაროს ყოველი ღონისძიება, რაც საჭიროა იტალიის სრული განთავისუფლებისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ უფრო გააფთრებული ბრძოლის საწარმოებლად.

გაზეთი „პოპოლო" აღნიშნავს, რომ ნაციონალური განთავისუფლების ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია ეხება იტალიის ახლანდელი მდგომარეობის ყველაზე მწვავე საკითხს. „ხალხს,—სწერს გაზეთი,—ესაჭიროება ნდობა და იმის შესაძლებლობა, რომ ინიციატივა გამოიჩინოს; მხოლოდ მაშინ ჩასთვლის იგი იტალიის განთავისუფლებას თავის ამოცანად და ირწმუნებს, რომ დემოკრატია მისთვის რეალობას წარმოადგენს".

გაზეთი „რესერჯიმენტო ლიბერა" აგრეთვე კეთილსასურველ კომენტარს უკეთებს ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის რეზოლუციას.

რუმინეთის ხელისუფალთა ღონისძიებანი გაზიდული ქონების სსრ კავშირში დასაბრუნებლად

ბუქარესტი, 13 იანვარი. (საკდესი). როგორც ბუქარესტის რადიო გადმოგვცემს, დროებითი ზავის პირობების შესრულების რუმინეთის კომისიამ აცნობა ყველა მოქალაქეს, რომლებმაც 1941 წლის 22 ივნისის შემდეგ დასტოვეს ბესარაბია და სამხრეთ ბუკოვინა და რუმინეთში თან ჩამოიტანეს სხვადასხვა ქონება, რომ ისინი მოვალენი არიან სათანადო ორგანოებს შეატყობინონ, რა ნივთები აქვთ წამოღებული, და ეს ნივთები ადგილობრივ ხელისუფალთ გადასცენ დროებითი ზავის შესახებ შეთანხმების საფუძველზე.

ამ ქონების ჩაბარების უკანასკნელი ვადა არის 1945 წლის 1 თებერვალი.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ლონდონის განყოფილების დეპეშა დრობნერისადმი

ლიუბლინი, 13 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „რობოტნიკი" დღეს აქვეყნებს პოლონეთის სოციალისტური პარტიის ლონდონის განყოფილების მიერ პოლონეთის სოციალისტური პარტიის მთავარი საბჭოს თავმჯდომარის დოქტორ ბოლესლავ დრობნერის სახელზე გამოგზავნილ დეპეშას, რომელშიც ნათქვამია: „სავსებით ვეთანხმებით და ჩვენს ლოიალობას ვუცხადებთ პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც არჩეულია ლიუბლინში 1944 წელს".

მოწინავე სტატიაში ამ მოვლენის შესახებ, რომელიც კვლავ მოწმობს პოლონეთის დემოკრატიული ძალების კონსოლიდაციას და პოლონეთის რეაქციული ხროვის სრულ გაკოტრებას, „რობოტნიკი" სწერს: „მას შემდეგ, რაც პოლონეთის სოციალისტურმა მოძრაობამ საზღვარგარეთ სოლიდარობა გამოგვიცხადა, ხოლო მუშებმა, მატროსებმა, არმიის წარმომადგენლებმა დასტოვეს არციშევსკის რეაქციული ბანაკი, ჩვენ იმის რეალური დამამტკიცებელი საბუთები მივიღეთ, რომ ჩვენი მუშაობა და ჩვენი მიღწევები სწორად არის შეფასებული და რომ პოლონეთის უარმიო მეთაურთა რეაქციული ხროვა დღითიდღე დნება". გაზეთი აღნიშნავს: პოლონეთის სოციალისტური პარტიის ლონდონის განყოფილების დეპეშა მოწმობს, რომ სავსებით დამარცხდნენ არციშევსკის ბანაკის პოლიტიკური ინტრიგანები, რომელნიც „მინისტრის პორტფელისათვის ბრძოლას თავიანთი სამშობლოს ინტერესებზე მაღლა აყენებენ" და რომ მუშათა მასების თვალში სამუდამოდ შერცხვენილმა არციშევსკის ხროვამ თავშესაფარი ჰპოვა რაჩკევიჩისა და პოლონური ფაშიზმის სხვა მემკვიდრეთა ბანაკში.

15 იანვარს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შესდგება

დიდი რუსი მწერლის ა. ს. გრიბოედოვის

დაბადებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავი

საზეიმო სხდომა

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

საიუბილეო კომიტეტი

მეომართა წერილები მოქმედი არმიიდან

ეს წერილები მოსულია შორიდან, საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს იქიდან — აღმოსავლეთ პრუსიიდან, იუგოსლავიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან. ამ წერილებს გზავნიან ქართველი ხალხის მამაცი შვილები, რომლებმაც ბრძოლებით დიდი და ძნელი გზა განვლეს სტალინგრადის, კავკასიის, მოსკოვის მისადგომებიდან ტილზიტამდე და ბუდაპეშტამდე.

ზემდეგი ერასტი ილარიონის-ძე გიგინეიშვილი აღმოსავლეთ პრუსიიდან საქართველოს მშრომელებს უთვლის საბრძოლო სალამს და ულოცავს ახალ, გამარჯვების წელს.

„1942 წელს ვხვდებოდით მოსკოვისათვის ბრძოლების ქარცეცხლში, — სწერს გიგინეიშვილი, — ახლა, 1945 წელს შევხვდით მტრის ტერიტორიაზე. ის მეომრები, რომლებიც მოსკოვს იცავდნენ, ახლა გერმანიის ტერიტორიაზე იბრძვიან".

არტილერისტმა უფროსმა ლეიტენანტმა ა. ს. ნანეიშვილმა ბრძოლებით განვლო ბესარაბია, რუმინეთი, ბულგარეთი. ახლა იგი იბრძვის იუგოსლავიის განთავისუფლებისათვის. ნანეიშვილი გვწერს მამაც ქართველებზე, რომლებმაც თავი ისახელეს იუგოსლავიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

„მიხეილ გრიგოლის-ძე თარაშვილი, — მოგვითხრობს ნანეიშვილი, — ომამდე თბილისში „გლავტოლის" განყოფილების დირექტორად მუშაობდა. ომის დაწყებისას წავიდა ფრონტზე რიგით მებრძოლად. ახლა იგი უკვე ლეიტენანტია.

ლეიტენანტ თარაშვილის ბატარეამ ერთ დღეს მოსპო ორი „ფერდინანდი" და ასზე მეტი ფაშისტი. ლეიტენანტი დაჯილდოებულია სამამულო ომის ორდენით. ამ უკანასკნელ დღეებში მან თავისი ქვემეხებით გაანადგურა მტრის რამდენიმე ათეული საცეცხლე წერტი, სადაზვერვო პუნქტი და ათობით ფაშისტი, რისთვისაც წარდგენილია ახალ ჯილდოზე".

გვარდიის მაიორ გ. ი. ივანიშვილს სამამულო ომის განმავლობაში მიღებული აქვს წითელი ვარსკვლავის ორდენი, მედლები „მოსკოვის დაცვისათვის", „სტალინგრადის დაცვისათვის", „კავკასიის დაცვისათვის". მაიორ ივანიშვილს აინტერესებს საქართველოს ამბები.

„მე მივიღე მონაწილეობა ბრძოლებში მოსკოვთან, სტალინგრადთან კავკასიის მისადგომებზე, ბრძოლებით გავიარე საბჭოთა უკრაინა, გადავლახე კარპატის მთები და ახლა ჩეხოსლოვაკიაში ვარ. ვიბრძვი როგორც შეეფერება საბჭოთა ოფიცერს, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მიერ აღზრდილს".

სერჟანტი გ. ა. მამულია იწერება აღმოსავლეთ პრუსიიდან, ტილზიტის მახლობლად მდებარე რაიონიდან. ის აგვიწერს გერმანიის საზღვარზე გადასვლის მომენტს:

„გავარღვიეთ მტრის ღრმად ეშელონირებული თავდაცვითი ხაზი, უკუვაგდეთ მტერი და უკან დავედევნეთ. შევედით ერთ პატარა ქალაქში, მას შუაზე მდინარე ჰყოფს და ზედ ხიდია. ამ ხიდზე ვიღაცას გაუკეთებია წარწერა: „აბა, აქედან იწყება საზიზღარი გერმანია". თუმცა ძალიან ვიყავით დაღლილი, მაგრამ კვლავ ახალი ენერგიით შევუტიეთ მტერს და კიდევ წავიწიეთ წინ. იწვის და ინგრევა ფაშისტი მხეცის ბუნაგი!".

გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი იაკობ (იაშა) ძებისაშვილი გვთხოვს გადავცეთ სალამი მის თანასოფლელებს, დუშეთის რაიონის სოფელ ზემო შუახევის მცხოვრებლებს.

„ახლა მე უკვე საბჭოთა ოფიცერი ვარ,— სწერს იგი, — ვიცავდი ლენინგრადს, ვიბრძოდი საბჭოთა ესტონეთისათვის. ორჯერ ვიყავი დაჭრილი. დაჯილდოებული ვარ წითელი ვარსკვლავის ორდენით. გადაეცით ჩემს თანასოფლელებს, რომ იაშა ძებისაშვილი ასახელებს მათ მტერთან ბრძოლაში".

საინტერესო საბრძოლო ეპიზოდს მოგვითხრობს გვარდიის უფროსი სერჟანტი სავიცკი:

„მებრძოლ სულთანიშვილს თავს დაესხა ოთხი გერმანელი. ისინი ყველა მხრიდან შემოერტყნენ მას და შეეცადნენ ხელები გაეკავებინათ.

სულთანიშვილი დევგმირივით ვაჟკაცია. მან გაფანტა გერმანელები, ორი მათგანი ავტომატით მოკლა, მესამეს კონდახით გაუსწორდა, მეოთხე წააქცია, შემდეგ ასწია და თავი დაარტყმევინა მიწაზე. ოფიცერი იქვე მოკვდა".

წითელარმიელი ირაკლი კონსტანტინეს-ძე ლურსმანაშვილი (ქალაქ ხაშურიდან) ამჟამად ჩეხოსლოვაკიაში იბრძვის. თავის წერილში ის გვწერს, თუ რა ყურადღებით ისმენდნენ მეომრები უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის საოქტომბრო მოხსენებას და როგორ სწავლობენ ისინი ამ ისტორიულ დოკუმენტს.

„ერთხელ სანგარში ვიჯექი, — მოგვითხრობს ი. ლურსმანაშვილი, — ამ დროს მოიტანეს ახალი ლიტერატურა მებრძოლებისათვის. ბროშურებში თვალი მოვკარი ამხანაგ სტალინის მოხსენებას და ბრძანებას, ქართულ ენაზე გამოცემულს. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მას შემდეგ მშობლიურ ენაზე ვკითხულობ და ვსწავლობ ბელადის წიგნს".

სერჟანტი გედევან აპოლონის-ძე ცინცაძე იწერება აღმოსავლეთ პრუსიიდან:

„მოგილოცავთ ახალ წელს, ძვირფასო ამხანაგებო, გისურვებთ ახალ გამარჯვებებს. ჩვენ ფრონტელები, დიდ მადლობას ვუხდით ზურგში მომუშავეებს იმ დიდი დახმარებისათვის, რაც მათ გაგვიწიეს გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებაში. პირადად მე ვარ ტანკისტი, ვიბრძოდი ვოლხოვის ფრონტზე, კარელიის ყელზე, მივიღე მონაწილეობა საბჭოთა ესტონეთისა და ლატვიის განთავისუფლებაში. ჩემი თვალით ვნახე ის მხეცობა, რასაც გერმანელები სჩადიოდნენ ჩვენს მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებში. ესტონეთის ქალაქ ტაპაში ვნახე გერმანელთა მიერ მოწყობილი საკონცენტრაციო ბანაკი, სადაც ასობით საბჭოთა მოქალაქის გვამები ეყარა. ახლა მტერს ვანადგურებთ მისსავე ტერიტორიაზე".

ქართველი მეომრები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას. მათ უაღრესად ახარებთ ქართველი ხალხის მიღწევები სამამულო ომის დღეებში. კაპიტან ივანე გაბრიელის-ძე დემეტრაშვილს, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ დიდი თონეთის მცხოვრებს, გაზეთ „პრავდაში" წაუკითხავს, რომ მისმა რაიონმა მიიღო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, და სწერს:

„მართალია წერის დრო ცოტაა, მაგრამ მაინც არ შემიძლია არ მივულოცო ჩემი რაიონის მშრომელებს და ხელმძღვანელებს მათი უდიდესი წარმატებანი სამამულო ომის დღეებში. გადაეცით მათ, რომ ჩვენ კვლავაც მედგრად ვიბრძოლებთ მტრის საბოლოო განადგურებამდე. ყველა ჩემი მეთაური და მებრძოლი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მაგალითად, ლეიტენანტი დავით თავართქილაძე დაჯილდოებულია სამამულო ომის I ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით, ასევე დაჯილდოებული არიან კალანდაძე და ინასარიძე. პირადად მე დავიმსახურე წითელი დროშის, სამამულო ომის I ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენები".

6 სამხედრო ნაწილის პარტორგი პ. გ. ლონდარიძე გვწერს უნგრეთიდან:

„ავტომანქანების მძღოლები შალვა ოქრუაძე და გიორგი ხურცია მოვიდნენ წარმოებიდან თავიანთი მანქანებით. ოქრუაძე და ხურცია იბრძოდნენ კავკასიაში, უკრაინაში, რუმინეთში და ამჟამად იმყოფებიან უნგრეთის ტერიტორიაზე. ამ ხნის განმავლობაში ხურციამ თავისი მანქანით გადაზიდა 860 ტონა საომარი მასალა და სხვა სამხედრო ქონება და გაიარა 44.300 კილომეტრი, ხოლო ოქრუაძემ გადაზიდა 530 ტონა და გაიარა 33.300 კილომეტრზე მეტი. მათი მანქანები მუდამ წესიერ მდგომარეობაშია. ორივენი დაჯილდოებული არიან".

სახელოვნად იბრძვიან ქართველი ხალხის შვილები სამამულო ომის ფრონტებზე. ისინი ასრულებენ იმ დაპირებებს, რასაც იძლევიან თავიანთ წერილებში.

ნინო მუშელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ქარხანა „დაზგის" ოსტატი გ. მძინარიშვილი თვალყურს ადევნებს ხარატ ვ. ივანოვის მუშაობას; ზეინკალი ა. ხვედელიანი სამუშაოზე; ხარატი ნ. ორლოვი ხარატო საქმეს ასწავლის ახალგაზრდა მუშას ტ. აკონოვს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

დროულად მივაწოდოთ მტს-ებს ტრაქტორის დეტალები

ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სარემონტო დეტალები ომამდე საქართველოში არ მზადდებოდა. ისინი შემოგვქონდა მოკავშირე რესპუბლიკებიდან. მაგრამ ომმა ჩვენს საწარმოებს ახალი მოვალეობა დააკისრა. საჭირო გახდა ტრაქტორის დეტალების წარმოების ათვისება და მათი დიდი რაოდენობით გამოშვება. ეს ამოცანა წარმატებით დასძლიეს საქართველოს მთელ რიგ საწარმოებში.

თბილისის საწარმოებიდან შარშან დეტალების დამზადებაზე მუშაობდნენ 26 კომისრის სახელობის (დირექტორი ამხ. მელაძე), კალინინის სახელობის (დირექტორი ამხ. მეშველიანი), სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების (დირექტორი ამხ. ჭავჭანიძე), ავტოსარემონტო (დირექტორი ამხ. რთველაძე), თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო (დირექტორი ამხ. ჰიჭინაძე), ქარხნები, შინების შემკეთებელი საწარმო, მე-6 და მე-7 სახელოსნო სასწავლებლები და აგრეთვე ის საწარმოები, სადაც დირექტორებად არიან ამხ. კანკავა და ამხ. ჯიქია, აღნიშნული საწარმოებიდან სატრაქტორო ნაწილების გამოშვების დავალებას გასული წლის ყველა თვეში ზუსტად დაწესებულ ვადებში, გრაფიკის მიხედვით და გადაჭარბებით ასრულებდნენ 26 კომისრის, კალინინის სახელობის, ავტოსარემონტო ქარხნები, შინების შემკეთებელი საწარმო, მე-6 და მე-7 სახელოსნო სასწავლებლები და ის საწარმოები, სადაც დირექტორებად არიან ამხ. ჯიქია და ამხ. კანკავა.

სრულიად უპასუხისმგებლოდ და გულგრილად მოეპყრო დავალებას თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა (დირექტორი ამხ. ხითარიშვილი, მთავარი ინჟინერი ამხ. ემელიანოვი). ამ ქარხანას დავალებული ჰქონდა 1944 წლის მეოთხე კვარტალში დაემზადებინა და სატრაქტორო პარკისათვის მიეწოდებინა 65.000 მანეთის 13 სახელწოდების დეტალი. სამწუხაროდ, ეს დავალება ქარხანამ დღემდე ვერ შეასრულა.

ტრაქტორის დეტალების დამზადება-გამოშვების გეგმა გასულ წელს სრულიად ჩაშალეს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაშიც. ამ მხრივ ქარხანას მთელი წლის განმავლობაში არსებითად არაფერი გაუკეთებია. დეტალების მცირე ნაწილი, რაც აქ დაამზადეს, უვარგისი აღმოჩნდა. ამ უნაყოფო მუშაობით კი ქარხანამ ზარალი ნახა.

ამჟამად, როცა გაჩაღებულია სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტზე, კიდევ უფრო სერიოზული და საპასუხისმგებლო ამოცანები დგება ჩვენი საწარმოების წინაშე. ამ საწარმოთა კოლექტივების ამოცანაა წელს უფრო მეტი რაოდენობით და უფრო მაღალი ხარისხის ტრაქტორის დეტალები დაამზადონ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სავსებით უზრუნველვყოთ რესპუბლიკის მტს-ების ყველა მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტოდ საჭირო დეტალების მიწოდების მხრივ.

წელს ჩვენს საწარმოებს დავალებული აქვთ დამატებით აითვისონ 10 სახელწოდების ახალი და უფრო რთული დეტალი, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, შეამცირონ თვითღირებულება.

პირველ კვარტალში გეგმით გამოშვებულ უნდა იქნას 160.000 მანეთის პროდუქცია, რაც სავსებით დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას.

დავალებათა პირნათლად შესრულებას ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდან წარმატებით შეუდგნენ 26 კომისრის ქარხანა, ავტოსარემონტო ქარხანა და აგრეთვე ის საწარმოები, სადაც დირექტორებად ამხ. კანკავა და ამხ. ჯიქია არიან.

საქმე მარტო იმაში როდია, რომ ტრაქტორის დეტალების დამზადების დავალება ქარხანამ შეასრულოს საერთოდ, წლის ბოლო რიცხვებისათვის. ამოცანა ის არის, რომ ეს დავალება შესრულებულ იქნას ზუსტად გრაფიკის მიხედვით, რომ სატრაქტორო პარკი ზამთრის სეზონში, ე. ი. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებამდე ბევრად ადრე, მოვამარაგოთ ყველა საჭირო დეტალით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათა საშემოდგომო-საზამთრო რემონტის სეზონი დიდი ხანია დაიწყო. სატრაქტორო პარკი უკვე სავსებით მზად უნდა გვქონდეს თებერვლის ბოლომდე, რათა საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები წარმატებით ჩატარდეს. საწარმოთა კოლექტივების ვალია ამ მხრივ ნამდვილი სოციალისტური დახმარება გაუწიონ სოფლის მეურნეობას.

ვ. ბელქანია

„გლავტრაქტორსბიტის" საქართველოს კანტორის მმართველი

ჩაის პლანტაციებს კარგად უვლიან

გალი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეობა „პირველ ბარლებში" (თავმჯდომარე ამხ. გოგოხია) დიდ ყურადღებას უთმობენ ჩაის პლანტაციების მოვლას.

კოლმეურნეობას 53 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს, აქედან 18 ჰექტარი სრულმოსავლიანი. შარშან კოლმეურნეობამ მიიღო 74 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ტონისა. 20 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 38 ტონა პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი.

1944 წელს კოლმეურნეობამ ჩაის საფასურად მიიღო 531.836 მანეთი, 200 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ამან 1943 წელთან შედარებით 33 პროცენტით გაადიდა შრომადღის ფულადი ღირებულება. შრომადღეზე ახლა გაიცემა 20 მანეთი.

სტახანოველი კოლმეურნეები პრემია-დანამატის სახით დიდ შემოსავალს მიიღებენ. მეხუთე ბრიგადის წევრებს 10 ათასი მანეთი მარტო დამატებითი საზღაური მიეცემათ. სტახანოველი კოლმეურნე ქალი ლ. სილოგავა, რომელმაც ნახევარ ჰექტარ ჩაის პლანტაციაში 5,7 ტონა ფოთოლი მოიყვანა, მიიღებს მარტო პრემია-დანამატს 5 ათასამდე მანეთს.

ბარლებელი კოლმეურნეები, დიდი სტალინის საოქტომბრო მოხსენებითა და ბრძანებით აღფრთოვანებულნი, თავდადებულად მუშაობენ ჩაის პლანტაციების სანიმუშოდ მოვლისათვის, რათა წელს უფრო მეტი და მაღალხარისხოვანი მოსავალი მიიღონ. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები. ვადამდე ადრე წესრიგზე მოიყვანეს ჩაის პლანტაციების სადრენაჟო ქსელი, დაამთავრეს პლანტაციების შელობვა. კოლმეურნეები ლ. რიგვავა, ფ. ბუთბაია, პ. გვაძაბია, ლ. სილოგავა, ო. ვერგაია ნორმით გათვალისწინებული 600 კვადრატული მეტრის ნაცვლად 1.000-1.100 კვადრატულ მეტრს ბარავენ.

კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა აიყვანონ სულ მცირე 5 ტონამდე, მისცენ ფრონტსა და ქვეყანას ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი.

ალ. გვახარია

მოწინავენი და ჩამორჩენილნი

მახარაძე („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეებმა გააჩაღეს საზამთრო მუშაობა ჩაის პლანტაციებში. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ 160 ჰექტარი ჩაის პლანტაცია დროულად გადაბარა და შიგ ფოსფორიტიანი სასუქი შეიტანა.

ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები მაღალხარისხოვნად შეასრულეს სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის, ნაღობილევის ტელმანის, მერიის კიროვის, ზვანის ორჯონიკიძის, მაკვანეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებმა და ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ.

სოფელ მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის პლანტაციების მოვლით თავი ისახელეს ვ. ჩაგლეიშვილის, ა. მარგველიტაძის, ლ. რუსეიშვილის და ლ. ღლონტის ბრიგადებმა. აქ ფართოდ არის გამოყენებული ქალთა შრომა. საკოლმეურნეო შრომაში 117 ქალი იღებს მონაწილეობას. მ. ვასაძემ, ვ. მარიამიძემ და კ. გომ პლანტაციების გადაბარვის გეგმა მაღალხარისხოვნად შეასრულეს.

ჩამორჩა სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. მალაზონია). იქ 165 ჰექტარი პლანტაციიდან გადაბარულია 105. ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ჩხარტიშვილი) გეგმა სანახევროდაც არ არის შესრულებული. კიდევ უფრო ჩამორჩებიან თხინვალის, ასკანის, გომის, სილაურის კოლმეურნეობები.

ამ ჩამორჩენის მიზეზი ის არის, რომ გამგეობებმა და საკოლმეურნეო პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი ამინდი, სწორად ვერ გაანაწილეს ძალები. თუ ასე გაგრძელდა, საფრთხის წინაშე დავაყენებთ წელს ჩაის მაღალ მოსავალს.

ლ. ლოლაძე

გრიბოედოვი

(დაბადების 150 წლისთავის გამო)

„გრიბოედოვი ეკუთვნის რუსული სულის უაღრესად მძლავრ გამოვლინებათ", — სთქვა ბელინსკიმ. და მართლაც, თავისი ჭკუის ძლიერებით, ნიჭის ბრწყინვალებით, მრავალმხრივი ცოდნითა და თავისი შემოქმედების სიმაღლით გრიბოედოვს რუსულ ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. მან შექმნა ლექსად დაწერილი რუსული კომედიის სწორუპოვარი ნიმუში, შესძლო მკვეთრი სოციალური სატირა შეეხამებინა ნამდვილ ფსიქოლოგიურ დრამატიზმთან და ღრმა ლირიკულ გრძნობასთან. მისი გმირი დღემდე დგას რუსული ლიტერატურის იმ უაღრესად ძლიერი და კეთილშობილური სახეების გვერდით, რომლებიც განირჩევიან დიდი ჭკუითა და სიტყვის ბრწყინვალე ნიჭის თვისებებით. მის გმირს უეჭველად აჩნევია ავტორის პირადობის ბეჭედიც.

ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვი დაიბადა 1795 წლის 15 იანვარს ძველისძველ აზნაურულ ოჯახში. დედის მზრუნველობის მეოხებით მან ჩინებული აღზრდა მიიღო და უკვე თერთმეტი წლისა მიღებულ იქნა მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც მოისმინა სამი ფაკულტეტის სასწავლო დისციპლინების კურსი. იგი იყო სიტყვიერებისა და სამართლის მეცნიერებათა კანდიდატი, ემზადებოდა მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მისაღებად, გულმოდგინედ სწავლობდა რუსეთის ისტორიას, გეოგრაფიას, არქეოლოგიას, აღმოსავლურ ფილოლოგიას და სლავთმცოდნეობას. იგი იყო გამოჩენილი ლინგვისტი, სწავლობდა სანსკრიტს, მშვენივრად იცოდა ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იტალიური ენები, ხოლო აღმოსავლური ენებიდან—არაბული, თურქული და სპარსული.

მაგრამ მან ვერ მოახერხა ხელი მოეკიდა მხოლოდ სალიტერატურო ან სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, რაზედაც ყრმობის წლებში ოცნებობდა. გრიბოედოვი შევიდა საგარეო საქმეთა კოლეგიის სამსახურში, მალე დაწინაურდა სახელმწიფო ასპარეზზე და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე გახდა. მისი დიპლომატიური ბრძოლა აღმოსავლეთში, მისი ეკონომიური გეგმები, როგორიცაა რუსეთის ამიერკავკასიური კომპანიის დაარსების პროექტი, გვაოცებენ თავისი ინიციატივითა და გაქანებით. პეტერბურგში იმასაც კი ამბობდნენ, რომ მარტო ერთი გრიბოედოვი თავის დიპლომატიურ პოსტზე მთელი არმიის მაგიერობას ეწევაო. ის იყო მგზნებარე პატრიოტი, რომელიც ყველაზე მაღლა აყენებდა თავისი სამშობლოს ღირსებასა და დიდებას. გასაკვირველი როდია, რომ უკვე 1828 წელს, როდესაც ოცდაცამეტი წლისა იყო, იგი სრულუფლებიან დესპანად დანიშნეს სპარსეთში.

გრიბოედოვი ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწესთან ერთად მოწინავე პოლიტიკურ შეხედულებათა მქონეც იყო. იგი დაახლოებული იყო დეკაბრისტებთან, მეგობრობდა რილეევს, ბესტუჟევს, კიუხელბეკერს, ოდოევსკის და მათს წრეში „თავისუფალ მოაზროვნედ" ითვლებოდა. იგი იზიარებდა მათს რწმენას რუსეთში ბატონყმობის გაუქმების, საჯარო სასამართლოს შემოღებისა და წიგნის თავისუფალი ბეჭდვის საჭიროების შესახებ. 1826 წელს მან კიდევაც დაჰკითხეს დეკაბრისტთა საქმის გამო.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ყველაზე მკაფიოდ გრიბოედოვს ხელოვანის ბუნება გამოაჩნდა. მან გატაცებით უყვარდა მუსიკა, იყო ჩინებული პიანისტი-იმპროვიზატორი, მეგობრობდა თავისი დროის უდიდეს კომპოზიტორებს — გლინკას, ვერსტოვსკის, ალიაბიევს, აინტერესებდა მუსიკის თეორია და თვითონაც სწავლობდა კომპოზიციას. მოცარტი და ბეთჰოვენი, ჰაიდნი და ვებერი მისი საყვარელი კომპოზიტორები იყვნენ. ასევე გატაცებით უყვარდა მას თეატრი. ალექსანდრე სერგის-ძე ჩინებული წამკითხველი და მოხალისე-მსახიობი იყო. „უფასოდ, გაუყალბებლად შეეძლო მას გადმოეცა თვითეული პირის სხვადასხვამხრივობა და ყოველი მარჯვე გამოთქმა", — სწერდა მისი მეგობარი ბესტუჟევი. საოჯახო სცენებზე მას არაერთგზის შეუსრულებია ალცესტის როლი მოლიერის „მიზანტროპში". იგი აღფრთოვანებაში მოჰყავდა შექსპირსა და რასინს და თვითონაც ადრევე სცადა თავისი ძალები ვოდევილებისა და მაღალი წრის ცხოვრებიდან აღებულ კომედიებში, რომლებიც მხოლოდ საფეხური იყო გენიალური ნაწარმოების „ვაი ჭკუისაგან" შექმნის გზაზე. რუსული კომედიის შედევრი დაიწერა ნამდვილი პოეტის ხელით. „პოეზია! მიყვარს იგი გატაცებით, მგზნებარედ", — სწერდა გრიბოედოვი ერთ-ერთ თავის წერილში. იგი კარგად იცნობდა მსოფლიო პოეზიის უდიდეს ნაწარმოებთ, ხოლო რუს ავტორთა შორის განსაკუთრებით უყვარდა ჟუკოვსკი, ბატიუშკოვი და პუშკინი. მან დასტოვა ლექსად დაწერილი მთელი რიგი ფრაგმენტები, რომლებმაც შეამზადეს კომედიის „ვაი ჭკუისაგან" მოქნილი და ბრწყინვალე ლექსი.

გრიბოედოვის განსაკუთრებული ნიჭიერება გვიხსნის მის პირად დრამასაც. მისი დამოუკიდებელ გონება და ბრწყინვალე ნიჭი მაშინდელი რუსეთის ცხოვრების პირობებში გასაქანს ვერ ჰპოვებდა თავისუფალი განვითარებისათვის. პუშკინის სიტყვით „სახელმწიფო კაცის ნიჭი გამოუყენებელი რჩებოდა, პოეტის ტალანტს არავინ არ სცნობდა". გრიბოედოვმა ბოლომდე განიცადა დრამა ბრწყინვალე ინტელექტისა, რომელიც შებოჭილია თავისი „მკაცრი საუკუნის" მძიმე პირობებით. მან პირადად გამოსცადა წამება გამოჩენილი ხელოვანისა, რომელსაც თანამედროვეებმა ვერ გაუგეს, ბოლომდე განიცადა ტრაგედია გენიოსისა, რომელიც თავის შემოქმედებით ძალას თვითმპყრობელური სახელმწიფოს და ბატონყმური საზოგადოების გარემოში ავითარებს. „წამებაა გატაცებული მეოცნებე იყო მარადიული თოვლის მხარეში", — სწერს გრიბოედოვი.

ავტორის ასეთ განცდებში იბადებოდა მისი განთქმული კომედია.

გრიბოედოვი უკვე სტუდენტობის წლებში უკითხავდა ამხანაგებს მის მიერ განზრახული დიდი პიესის ნაწყვეტებს. მაგრამ მხოლოდ 1820 წელს, თავრიზში ყოფნის დროს, შეუდგა იგი თავისი ნააზრევის დამუშავებას. უცხოეთში მყოფი იგონებდა წარსულს, მშობლიურ მოსკოვს, მის საზოგადოებას, თავის მარტოობას ამ საზოგადოებაში და კომედიის გენიალური შემქმნელი მოგონებებში პოულობდა ჩინებულ მასალას ნაწარმოებისათვის, რომელიც რუსული ლიტერატურის სიამაყეს შეადგენს.

1821-1823 წლებში გრიბოედოვი თბილისში მსახურობს ერმოლოვის დიპლომატიურ მდივნად და სწერს კომედიის „ვაი ჭკუისაგან" პირველ აქტებს. 1823 წლის გაზაფხულზე იგი შვებულებას იღებს და მოსკოვს მიემგზავრება. იქ ალექსანდრე სერგის-ძე კვლავ ტრიალებს მაღალი საზოგადოების წრეში, სწავლობს მის ზნე-ჩვეულებებს და ზაფხულში, თავისი მეგობრის ბეგიჩევის მამულში, განაგრძობს უკანასკნელი აქტების წერას. მაგრამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ პეტერბურგში დაამთავრა მან თავისი ნაწარმოების საბოლოო ტექსტის დამუშავება. დაახლოებით ოთხ წელს გასტანა მომთხოვნელი ხელოვანის ბეჯითმა შრომამ თავის უდიდეს ქმნილებაზე. მისი კალმის ნაყოფი იყო პიესა, რომელიც გვაოცებს ღრმა პირადი დრამით, ფართო სოციალური გარემოცვით, დამთავრებული პოეტური სტილით.

ჩვენს წინაშეა XIX საუკუნის დასაწყისის მოსკოვის საზოგადოება, „გრიბოედოვის დროინდელი მოსკოვი", მაღალი თავად-აზნაურული წრე მთელი მისი ჭორებით, კარიერიზმით, ფარისევლობით, პირმოთნეობით და განათლებისადმი სიძულვილით. გრიბოედოვმა თავის ბრწყინვალე დიალოგებში აღბეჭდა და სამარადისოდ დაჰგმო „წარსული ცხოვრების საზიზღარი თვისებანი"...

უკვდავი კომედიის ბევრი ტიპი, როგორც ცნობილია, აღებულია სინამდვილიდან. თვით გრიბოედოვი ამბობდა, რომ თავის კომედიაში შეიტანა „პორტრეტები" და ნამდვილ პირებს მხატვრული ტიპურობა მიანიჭა. თანამედროვენი, მაგალითად, ჩაცკის სახით სცნობდნენ თვით პიესის ავტორს, აგრეთვე პუშკინის ცნობილ მეგობარს—ჩაადაევს. ფამუსოვის სახით დაინახეს ავტორის ბიძა, ცნობილი მოსკოველი დიდკაცი ალექსი თევდორეს-ძე გრიბოედოვი. სკალოზუბის სახით — პასკევიჩი ან არაკჩეევი. კნეინა მარიამ ალექსის-ასულის სახით—განთქმული გოლიცინა, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის დედა. ეს იყო გრიბოედოვის თანამედროვეთა გალერეა, უკვდავ სასცენო სახეებში განხორციელებული. „მათი სახეები, რომლებიც მოსკოვის ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა ნიუანსებს გამოხატავენ, ისე სწორად არის აღბეჭდილი, ისე მკვეთრად დახატული, ისე მარჯვედ მოცემული,—სწერდა 1823 წელს მოსკოველი პროფესორი ნადეჟდინი,—რომ უნებურად ავერდები, სცნობ ორიგინალებს და ხარხარებ". მთელი საზოგადოების ამ ჯგუფურ პორტრეტში სავსებით გამოჩნდა რეალისტი მხატვრის გენიალობა.

გრიბოედოვის მიერ დახატულ ფართო სოციალურ სურათს მკვეთრი სატირული ბეჭედი აჩნდა და, როგორც თანამედროვენი აღნიშნავდნენ, ნამდვილ პოლიტიკურ კომედიას წარმოადგენდა. პიესაში აშკარად ისმოდა დეკაბრისტების ეპოქის იდეური ცხოვრების გამოძახილი. იგი იყო რუსული რეპერტუარის პირველი სოციალური პიესა, ვინაიდან განუყრელად იყო დაკავშირებული ალექსანდრეს დროის ფარულ საზოგადოებათა მისწრაფებებსა და დიდი ხნის ნატვრასთან.

კომედიის მთავარი გმირი ჩაცკი მაშინდელი რუსი ახალგაზრდობის ამ მიმართულებას ეკუთვნის. ასე სწერდნენ მის შესახებ გერცენი და დოსტოევსკი, კრიტიკოსი აპოლონ გრიგორიევი, ისტორიკოსი კლიუჩევსკი და ბევრი სხვა. „ჩაცკის ფიგურა, მელანქოლიური, ირონიით აღჭურვილი, აღშფოთებით ათრთოლებული და საოცნებო იდეალებით აღსავსე, ჩნდება ალექსანდრე 1-ლის მეფობის უკანასკნელ მომენტში, ისაკის მოედანზე მომხდარი ამბოხების წინ; ეს დეკაბრისტია", — სწერდა გერცენი. ჩაცკის განთქმული მონოლოგები, რომლებშიც იგი ამათრახებს მებატონეებს, მეფის კარის ზნე-ჩვეულებებს, ბიუროკრატიას და სკალოზუბოვშჩინას, აგრეთვე შეესაბამებიან დეკაბრისტების პროგრამას, ისე როგორც ის გარემოება, რომ იგი იცავს ნაციონალურ ღირსებას, რუსული კულტურის თავისებურებას და სამშობლო ენას. ისეთი კაცი, როგორიც დობროლიუბოვი იყო, ტყუილ-უბრალოდ კი არ აღიარებდა, ჭაბუკობის წლებში მსურდა ჩაცკის დაემსგავსებოდიო.

გრიბოედოვის გმირი მოწინავე თაობის ნამდვილი წარმომადგენელია, რომელიც იცავს უფლებას იყოს დამოუკიდებელი და ღრმად მოაზროვნე. იგი მიესალმება მის თანამედროვე ჭაბუკებს, რომლებიც ისწრაფვიან მეცნიერებას აზიარონ „ცოდნამოწყურებული გონება", მიეცნენ „შემოქმედებითს, მაღალსა და მშვენიერ ხელოვნებას". ჩაცკი, ისე როგორც მისი შემქმნელი გრიბოედოვი, არის პოეტი და მოაზროვნე, მწერალი და ორატორი, დეკაბრისტების თანამედროვე ინტელიგენციის საუკეთესო და უნიჭიერესი წარმომადგენელი. გონჩაროვის მოსწრებული თქმით, ჩაცკის ტიპმა წინასწარ განჭვრიტა ბელინსკისა და გერცენის რეალური თვისებანი. ეს არის ტრიბუნი და მებრძოლი.

მაგრამ, როგორც მოხდენილად სთქვა პოეტმა პოლონსკიმ, გრიბოედოვის პიესაში ორი ვაებაა: ვაი ჭკუისაგან და ვაი სიყვარულისაგან. სოფიოთი ჩაცკის გატაცების ამბავში სავსებით გამოჩნდა გრიბოედოვის დიდი ლირიკული ნიჭი. მისი გმირის ინტიმური აღიარებანი სასიყვარულო პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენენ. ეს არის წმინდა ელეგიები, რომლებიც გამოხატავენ ჩაცკის სულიერი და პოეტური სიყვარულის დიდ თემას, სადაც იმალება წმიდა და ნათელი წარმოდგენა მისი საყვარელი ქალიშვილის შინაგან სამყაროზე. ჩაცკის გრძნობების ფსიქოლოგიური სისწორე და სიღრმე პუშკინმაც აღნიშნა: „ამ საუცხოო კომედიის ოსტატურ თვისებათა შორის —ჩაცკის უნდობლობა მოლჩალინისადმი სოფიოს სიყვარულში საუცხოოა! და რა ბუნებრივია!.." სწორედ ჩაცკის სასიყვარულო დრამა იწვევს ფაბულის რთული კვანძის გახსნას და გმირის საბოლოო მონოლოგს, სადაც მას მრისხანე საბრალდებო განაჩენი გამოაქვს ჩამორჩენილი საზოგადოებისათვის, რომელიც შემტკიცებულა, რათა სდევნოს განმარტოებული და დამოუკიდებელი მოაზროვნე.

ყოველივე ამან გრიბოედოვის კომედიას განსაკუთრებული ღრმა დრამატიზმი მიანიჭა.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა ყოველნაირად სცადა ამოეღო პიესიდან მეტად მწვავე ადგილები, მის სიცოცხლეში კომედია მაინც ვერ დაიბეჭდა. მაგრამ იგი მაინც ძალიან ფართოდ გავრცელდა. ათიათასობით ხელნაწერი ეგზემპლარი გადადიოდა ხელიდან ხელში. მხოლოდ გრიბოედოვის სიკვდილის შემდეგ 1833 წელს კომედია გამოცემულ იქნა დიდი ცენზურული შემოკლებით. 1875 წელს, როდესაც „ვაი ჭკუისაგან" პირველად გამოვიდა სრული ტექსტით, ყველაზე უფრო გესლიანი და მწვავე სტრიქონები უკვე შესული იყო ხალხურ ენაში როგორც მახვილი ანდაზები და თქმანი.

როდესაც გრიბოედოვი აღმოსავლეთში უკანასკნელად გამგზავრების დროს რამდენიმე დღით ესტუმრა თავის მეგობარს ბეგიჩევს, მან ჰკითხა ახალი კომედიის თაობაზე და გრიბოედოვმა მიუგო:—„არა, კომედიას აღარ ვწერ, ჩემი მხიარულება გაჰქრა, ხოლო მხიარულების გარეშე კარგი კომედია არ არსებობს. მაგრამ მე მაქვს დაწერილი ტრაგედია". და უამბო თავისი დრამის შინაარსი და რამდენიმე სცენაც წაუკითხა, პიესას ეწოდებოდა „ქართული ღამე". დაწერილი იყო თავისუფალი რითმიანი ლექსით და მასში დამუშავებული იყო საქართველოს ხალხური თქმულებანი. ამ დაუმთავრებელი დრამის შემონახულ ლექსს ახასიათებს არაჩვეულებრივი ენერგია და აღმოსავლური ტრაგიკული ზღაპრის თავისებური სტილი.

არანაკლები სიძლიერით იყო მოფიქრებული დრამა „1812 წელი". გრიბოედოვი, როგორც ცნობილია, სამამულო ომის მონაწილე იყო. მას ჰქონდა „გულადი კავალერისტის" რეპუტაცია. მოხალისეთა პოლკში შევიდა და სამ წელს მსახურობდა ჯარში. თავის დრამაში მას განზრახული ჰქონდა ფართოდ განევითარებინა ისტორიული სურათი—რუსეთში ფრანგების შემოსვლა, სმოლენსკის აღება, ამბავი ბოროდინოს ბრძოლის შესახებ, ნაპოლეონი კრემლში, საყოველთაო ლაშქრობა, ფრანგების უკანდახევა — „ზამთარში მტრის დევნისა და საშინელ სიკვდილთა სცენები". გრიბოედოვს სურდა 1812 წლის მოვლენები ეჩვენებინა, როგორც განსაკუთრებული ძალის სახალხო ისტორიული ტრაგედია. მაგრამ ამ ნააზრევსაც არ ეღირსა განხორციელება. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე გრიბოედოვის ტრაგედიის „რადამისტი და ზენობია" გეგმამ, რომელიც აგებულია საქართველოსა და სომხეთის ამბებზე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში. ნაწარმოებში განზრახული იყო სასახლეში მომხდარი შეთქმულების და ხალხის სტიქიური აჯანყების სურათის ჩვენება, აჯანყებისა, რომელსაც ვერაფერი ვერ უძლებს. გეგმაშიც კი იგრძნობა ტრაგიკოს გრიბოედოვის უდიდესი მასშტაბები.

საერთაშორისო მნიშვნელობის დიდმა პრობლემებმა, რომლებიც გრიბოედოვს აინტერესებდა მის მაღალ სახელმწიფო პოსტზე, მისმა აქტიურმა როლმა აღმოსავლეთში, რამაც გამოჩენილი დიპლომატი ტრაგიკულ დასასრულამდე მიიყვანა 1829 წელს, მწერალი ჩამოაშორეს მის საყვარელ საქმიანობას და ხელი შეუშალეს მის ნააზრევთა განხორციელებას. დარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ როგორ განვითარდებოდა შემდეგში ეს შემოქმედებითი მოღვაწეობა დრამატურგისა და პოეტისა, ისტორიკოსისა და მეცნიერისა, რომელიც მუდამ ოცნებობდა შეექმნა მონუმენტური ნაწარმოები, მიძღვნილნი რუსი ხალხის გმირული ბრძოლისა და საგმირო საქმეებისადმი. მაგრამ ერთადერთმა დამთავრებულმა და დიდად თავისებურმა ქმნილებამ გრიბოედოვს სამუდამოდ შესძინა ხალხის სიყვარული და მადლობა. როდესაც პუშკინთან ვიღაცამ მწუხარება გამოსთქვა თეირანში რუსეთის ელჩის უდროო დაღუპვის გამო, პოეტმა მიუგო: „გრიბოედოვმა თავისი გააკეთა. მან უკვე დასწერა „ვაი ჭკუისაგან".

ლ. გროსმანი

1795 ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვი 1945

ა. გრიბოედოვი

ქართული ღამე*

(ნაწყვეტები ტრაგედიიდან)

1.

ქ

მაგრამ გგონია შენმა დარდმა მე გამახარა?
დამნაშავე ხარ შენ თვითონ და შენი ჭალარა.
რა ხანი არის არ მინახავს ბეგარა შენი...

თ

სიბერის გმობა თქვენს სიმკაცრეს სჩვევია მარად.
დიახ, მოხუცდი, მაგრამ მარტო წლებით კი არა;
თამაშობაში დროს არ ვკლავდი გართობით, ლხენით.
ჩემი ძალღონე შევალიე შენს სახლს, შენს შვილთა.
როს რუსთა მეფის წინააღმდეგ იძრე მახვილი,
და როს, განწირულს, მოგელოდა სიკვდილი ხმლითა —
ჩემის ძონძებით დაგიფარე სამარის ჩრდილი.
როს, სამარცხვინოდ გაცემული შენს ქვეყანაში,
მრავალ წელს იყავ ღრმა დილეგში გადაკარგული,
გატიალებულს სახლს ზრიალი გაჰქონდა ქარში —
მაშინ შვილივით მე აღვზარდე შენი ასული.
მაშ მიხვდი, რატომ ვარ ჭაღარით აწ დაფარული,
რამ დამაბერა, რად შემაკლდა მუხლებში ძალი,
რად მაქვს ლაწვები მკრთალ ნაოჭით ჩამოღარული —
ამაში თვით შენ, და შენს ოჯახს მიუძღვის ბრალი.
ახალგაზრდობა ჩემი დასჭკნა უმძიმეს შრომით,
და შენ კი ტლანქად დაივიწყე სინდისიც, ღმერთიც,
და ნახევარი გული დედას მომგლიჯე მკერდით.
ნუ თუ გგონია, შემაშინო მუქარით, წყრომით?
დეე, ავენთოს უსამართლო სიბრაზით გული!
ხშირად მამალიც, როცა წიწილს სტაცებენ დედას,
ყივის, ფრთებს ურტყამს მძვინვარებით ალმოდებული,
და შებრძოლებას ძლიერ მტერთან თამამად ბედავს.
აღარც მე ძალმიძს შენს წინ დგომა ახლა დუმილით.
შვილი მადარდებს: მე დედა ვარ, ადამიანი.
ეჰა, სად არის, ღმერთო, შენი რისხვა, ქუხილი?

ქ

ღმერთო, სჯობს ვიყო განდევნილი მე შავდღიანი,
თავზე დამატყდეს ზეცის რისხვა მარტოობაში,
და, განწირული, დავილუპო იმ ხეობაში,
სადაც ჭალარა ქსნის ტალღები მოჰქუხს გრიალით.
ისევ ვირჩევდი, ვით ყაჩაღი ტყეს დაბურულსა,
დევნას, შიშს, შიმშილს, ყინვების სუსხს აუტანელსა,
ვიდრე ამ ბოროტ დედაკაცის მწარე ბუზღუნსა,
შურისძიების, საყვედურის შხამს მომწამვლელსა.

თ

შენს გულს ადვილად ვერ მოალბობს სიტყვები ტკბილი,
კეთილი ხსოვნა, ვერც მდუღარე ცრემლების ღვარი.
აბა, იფიქრე: შენ მამა ხარ, დაჰკარგე შვილი,
ჰა, შენს წინაშე ასვენია კუბოში მკვდარი.
უკანასკნელად ეთხოვები საყვარელ ცხედარს,
უხმოდ, უგონოდ ეხუტები დახუჭულ თვალთა,
და გსურს სიცოცხლე დაუბრუნო დაფერფლილ მზერას.
ჰაერს ხმაურით აზანზარებს კივილი ქალთა,
იმ მწუხარე ხმებს ნაღვლიანი, თმა თეთრი მუდამ,
დილიდან ვიდრე საღამომდის, მთა გუგუნებდა,
შვილს სამარეში ჩაჰყოლოდი შენ თვითონ გსურდა,
მაგრამ ვინც კვდება, სამუდამოდ აღარ ბრუნდება,
შვილის გამოხსნას ტყვეობიდან თუ კი შესძლებდი,
რომელ საგანძურს შვილისთვის არ გაიმეტებდი?
ვის მრისხანებას ან მუქარას შეუკრთებოდი?
ვის სასოებით მუხლებზე არ მოეხვეოდი?

ქ

ქალო, შენდამი ჩემი მტრობა მესმის პირველად...
არ მყავს არც ხალხი, და არც ღმერთი დავიწყებული,
არ დავუთმობდი შენს შვილს ვინმეს გაუჭირვებლად,
მაგრამ ღირსება ჩემი მქონდა დაწინდებული.
ცხენში მივეცი შენი შვილი მე საფასურად.
ცხენში, რომელიც ომში ხშირად სახელს მმატებდა,
ბრძოლის ცეცხლიდან გამოვყავდი მას ვაჟკაცურად...
დასაგმობია, ვინც ასეთ ცხენს სხვას შეარჩენდა!

თ

არც შენი ცხენი მუხლში ღონე გამოულევი,
არც რომელიმე ყმა ერთგული, სათნო, კეთილი —
არ გემსახურებდა იმ სიმართლით და ერთგულებით,
როგორადაც მე — შრომისაგან წელმოწყვეტილი.
თქვენი გულისთვის ჩემს ვაჟს როდი შეშურდა გარჯა —
თუ რომ დასცლოდა გამხდარიყო ვაჟკაცი სრული —
ასჯერ გასცვეთდა ბრძოლის ველზე ხმალსა და ხანჯალს,
ვერ შეაკრთობდა ვერც ტყვია, ვერც ჭრილობის წყლული.
როგორაც დედამ არა ერთგზის დაგხსნა სიკვდილსა,
ასევე შენი გადარჩენა შეეძლო შვილსაც.

ქ

წადი, ბებერო, დამეკარგე... არ გნახო თვალით,
ჩემგან სიბრალულს ნუ მოელი ან შეცოდებას,
ნუ მიხშობ სმენას უადგილო ხვეწნა-მუდარით.
აწ უდროოა შენი კვნესა, მოთქმა, გოდება.
ამიერიდან შენი შვილი სხვას ეკუთვნება,
ჩემთან არაა, მე აღარ ვარ მისი პატრონი,
მე ის გავყიდე, ამის კიდეც მქონდა უფლება:
ის ხომ ყმა იყო, მე კი ვიყავ მისი ბატონი.

თ (მუხლს მოიყრის)

ჩემია იგი... დამიბრუნე ამას გთხოვ მხოლოდ.
მითხარი მხევალს, შენს უსიტყვო მონას, მორჩილსა,
რად სტაცებ დედას, რად აშორებ ერთადერთს შვილსა?
მომეცი შვილი, გულში ჩავკრით რომ ვეამბორო.
ჰეა, გაფიცებ უფლის ძალას, უწმინდეს სახელს,
მუხლმოკეცილი შენს წინაშე, მდაბლად დახრილი,
გთხოვ: შეგვაერთო კიდევ ერთხელ დედა და შვილი!

ქ

ნუ მიმეორებ დაჟინებით საყვედურს მწარეს.
წადი მთა-ღრეებს მიაშურე მწვერვალის ძირას —
იქ, კლდეებს შორის, გრგვინვით მიჰქრის სწრაფი მდინარე,
მიდი, ჩამოჯექ კლდეზე იქვე, უფსკრულის პირას,
დაკარგულ შვილზე ღამის წყვდიადს გაესაუბრე,
კვნესით შესძახე ველ-მინდორი, ძილით მოცული,
მაგრამ ჩემს სახლში ამიერით აღარ დაბრუნდე —
აღარ გიხილოს ჩემმა თვალმა შინ შემოსული.

თ

ამისათვის სწორედ ღირსი ჯილდო მშთენია,
მაშ იყოს კრული მოდგმა შენი, სახლი და კარი,
ასული შენი, და რაც დღემდის შეგიძენია...
როგორც გამოცდილ მონადირეს მდინარე ჩქარი,
ვერც კლდე აჩერებს, ვერც თოვლიან მწვერვალთა წყება,
მაინც მიფრინავს, როგორც ქარი, ველზე გაშლილი,
ვიდრემდე მისი დარტყმით ძირს არ დაენარცხება
პირდორბლიანი ტყის ნადირი, სისხლით დაცლილი,
დე, ყოფილიყო შენც ტანჯული ასე ცხოვრებით,
დეე, გდევნიდნენ სასიკვდილოდ ხანჯლით, ღალატით:
ყმები, მონები, ნათესავნი და მეგობრები.
  უმადურობის ჯილდოდ დღე კრული
  სამარადისოდ ნუღარ აგცილდეს,
  ქვესკნელ-ჯოჯოხეთს მიჰყიდე სული,
  როგორც შენ ჩემი შვილი გაჰყიდე.
  ო, განდგომილო, ცოდვის შეგნებით
  საკუთარ სხეულს კბილით იგლეჯდე,
  ღამით იტანჯო, დღით ცოდვით თრთოდე,
  როდესაც საყდარს უფლისას ჰჭვრეტდე.
  არ აღირსებენ შენს გვამს სამარეს!
  დეე, მგზავრებმა მხოლოდ გინებით
  მოიხსენიონ შენი სახელი.
  მსხვერპლადმც გამხდარხარ ტურების, მგლების
  და საიქიოს, ღვთის სამართალით,
  სამარადისო წამება გელის.

ხთარგმნა **ვ. გორგაძემ**

---

*) ტრაგედია „ქართული ღამე" ავტორს დარჩა ნაწყვეტების სახით. დაწერილია 1826-1827 წლებში და შეეხება ბატონყმურ ცხოვრებას საქართველოში. მისი შინაარსი, მოკლედ, ასეთია: ქართველმა თავადმა, საყვარელი ცხენის გამოსაყიდად, მისცა სხვა მებატონეს თავისი ყმა ქალის ვაჟიშვილი. გაბოროტებული დედა შურს იძიებს, გაიჭრება ტყეში და მოუწოდებს ბოროტ სულებს, ალებს თავისი მჩაგვრელი თავადის დასალუპავად.

გრიბოედოვი და საქართველო

დიდი რუსი პატრიოტი მწერალი ალექსანდრე სერგის-ძე გრიბოედოვი საქართველოსთან მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო თავისი პირადი ცხოვრებითა და ფართო საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით, არამედ მხატვრული შემოქმედებითაც.

საქართველომ საპატიო ადგილი დაიჭირა გრიბოედოვის შემოქმედებაში. მწერალმა ქართულ მასალაზე ააგო თავისი „მგზავრის წერილები" და პოემა „მეყალიონე", ლექსები „იქ, სადაც მიიკლაკნება ალაზანი" და „კეთილსურვილიანი სალამით", დაუმთავრებელი დრამები „ქართული ღამე" და „რადამისტი და ზენობია".

გრიბოედოვი საქართველოს პირველად გაეცნო 1818 წელს, როცა ის მეფის მთავრობის გადაწყვეტილებით პეტერბურგიდან გაემგზავრა სპარსეთს რუსეთის დიპლომატიური მისიის მდივნად. გამომგზავრების წინ ახალგაზრდა მწერალი თავის მეგობარ ბეგიჩევს ჰპირდება აღმოსავლურ შთაბეჭდილებათა „ჟურნალის" (დღიურის) წარმოებას. მაგრამ გრიბოედოვს ის დაუმთავრებელი და დასამუშავებელი დარჩა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ნაწყვეტებმა. მათში მწერალი მკაცრად აკრიტიკებს ცარიზმის ფეოდალურ-კოლონიზატორულ პოლიტიკას კავკასიაში, გამოსთქვამს თავის თანაგრძნობას თავისუფლებისმოყვარე კავკასიელებისადმი და აღტაცებით აგვიწერს საქართველოს ბუნების დიდებულ სურათებს.

გრიბოედოვი მოემგზავრებოდა იმავე სამხედრო გზით, რომელიც შემდეგ გამოიარეს პუშკინმა, ლერმონტოვმა, მარლინსკიმ და სხვა რუსმა მწერლებმა. თვითეულმა მათგანმა აგვიწერა ამ გზის მომხიბვლელი სილამაზე, მაგრამ პირველი მათ შორის გრიბოედოვი იყო.

ახალგაზრდა მოგზაური გაოცებით შეჰყურებდა ბუნების ამ პირქუშ და მომაჯადოებელ სურათებს, რომელთა კალმით აღწერაც, გრიბოედოვის თქმით, შეუძლებელია. ის მხოლოდ ცალკეული სიტყვებით აღნიშნავდა თავის დღიურში ამ ბუნების სიდიადესა და მისგან გამოწვეულ გრძნობებს. „ღამე დარიალში, შიში უჩვეულო მაღალი კლდეებისაგან. თერგის ხმაური..." მოკლედ აღწერს გრიბოედოვი ყაზბეგს, სიონს, კობს, კაიშაურის გადასავალს, საიდანაც უკვე დაღმართი იწყება და მოულოდნელად თვალწინ იშლება „მხიარული სურათი: დაბლა ბუჩქებში ჩაფლული არაგვია, აუარებელი ყანები, ჯოგი, მრავალფეროვანი სახლები, ციხე-კოშკები, ქოხები, სოფლები, ცხვრის ფარა..." ბუნების ეს სურათები კიდევ უფრო მკვეთრად აქვს დახატული გრიბოედოვს 1819 წლის დასაწყისში თბილისიდან პეტერბურგს გაგზავნილ წერილში: „მგრგვინავი თერგის გაყოლებით მე შევედი ბუმბერაზ კლდეთა გროვაში, რომელსაც, ლომონოსოვის თქმით, რუსეთი იდაყვით დაბრჯენია... ჩემს გარშემო შიშველი კლდეებია, ჩემს ზევით — ფრინველი მეფე და ქორი, პრომეთეოსის მჯიჯგნავთა ნაშიერნი; წინ ბრწყინავდნენ მთათა მწვერვალები, რომლებზედაც მე შემდეგ მალე ავედი და ვნახე ნამქერი, ყინვა, ღრმა ზამთრის ყველა ნიშანი; მაგრამ რამდენიმე ვერსის მანძილზე მისი სუსხი შეიცვალა: კაიშაურის ციცაბო დაღმართს პირდაპირ მივყავართ არაგვის გაზაფხულოვანი ნაპირებისაკენ".

ყველაფერი ეს მეტად ხიბლავდა ბუნებისმოყვარე პოეტს: „მე წამოვწექი შემომწვარ ჯირკსა და ფოთლიან წიფელას შუა, — ვკითხულობთ გრიბოედოვის დღიურში, — ჩემს უკან მთის ძირს მდინარეა; გარშემო ბუჩქები, მათ შორის — დიდი ხევები. ხევებს შუა გორაკები მოსჩანს, ჭალაში ხოხობია. ჩემს გვერდზე ცხენები და ციკნები დარბიან. ამხანაგი მზეზეა წამოწოლილი. ჩვენი ცხენები სძოვენ".

საქართველოს სამხედრო გზის მედიდურმა ბუნებამ იმდენად დიდი გავლენა მოახდინა გრიბოედოვზე, რომ მწერალმა მისი სახეები თავის ნაწარმოებში „ვაი ჭკუისაგან" გამოიყენა. ამ კომედიის ერთერთ ავტოგრაფში ჭორების გავრცელება ჩაცკის შეშლილობის შესახებ შედარებულია მთიდან დაქანებული ზვავის სისწრაფესთან.

პოეტში არანაკლები აღტაცება გამოიწვია ტკბილი კახეთის მშვენიერმა ბუნებამ. ლექსში „იქ, სადაც მიიკლაკნება ალაზანი" გრიბოედოვი აგვიწერს ალაზნის ველის თვალწარმტაც სურათს.

კახეთთან ნაწილობრივ დაკავშირებულია აგრეთვე მწერლის დაუმთავრებელი პოემა „მეყალიონე". მასში აღწერილია სპარსეთში მყოფი კახელი ჭაბუკის ტრაგიკული თავგადასავალი, სამშობლოსა და მშობლებისაგან მოწყვეტილი ქართველი ადამიანის განცდები. ეს პოემა იმას მოწმობს, რომ დიდი რუსი მწერალი კარგად იცნობდა საქართველოსა და მის ისტორიას.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გრიბოედოვის ორი დრამის ფრაგმენტები „რადამისტი და ზენობია" და „ქართული ღამე". ორივე ნაწარმოები (რომლებიც, ალბათ, 1825 წლის შემდეგაა დაწერილი), აგებულია ქართულ მასალაზე. ეს, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო რადიკალური ნაწარმოებებია გრიბოედოვის შემოქმედებაში. პირველი გამოირჩევა თავისი პოლიტიკური (ანტიდესპოტური) მოტივებით, მეორე — ბატონყმობის დაგმობით.

დრამის გეგმაში „რადამისტი და ზენობია" დრამატურგი ეხება საქართველოსა და სომხეთის ისტორიულ მასალაზე (პირველი საუკუნე) სახალხო აჯანყების საკითხს. მწერალი სრულიად შეგნებულად უპირისპირებს ერთიმეორეს საერთო სახალხო აჯანყებასა და კარისკაცთა ვიწრო კონსპირატიულ შეთქმულებას. ნაწარმოებში გამოყვანილია მკაცრი ტირანი მეფე რადამისტი. ის გარეგნულად პირდაპირი და გაბედულია თითქოს, მაგრამ ნამდვილად ცბიერია და მხდალი. მის წინააღმდეგ კარისკაცნი შეთქმულებას აწყობენ, მაგრამ მარცხდებიან, რადგან მათ ამოძრავებთ მხოლოდ პირადი, ეგოისტური, კარიერისტული ინტერესები. შეთქმულები მარცხდებიან, როგორც გრიბოედოვი აღნიშნავს, იმიტომ რომ „ხალხი არ მონაწილეობს მათ საქმეში. იგი თითქოს არ არსებობს. მესამე მოქმედებაში კი აღელვება სახალხო ხასიათს იღებს, მაგრამ არა იმ მიზეზებით, რომლებიც კარისკაცებს ამოძრავებდათ"... აქ, დრამის ამ გეგმაში ნათლადაა გამოსახული ავტორის ძირითადი იდეა: ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატება შეიძლება ჰქონდეს არა კერძო ინტერესების ნიადაგზე გაერთიანებულ კარისკაცთა ვიწრო კონსპირატიულ შეთქმულებას, არამედ ჩაგრული ხალხის საყოველთაო აჯანყებას.

„ქართულ ღამეში" მძაფრად არის დახატული სოციალურად ერთიმეორის მოწინააღმდეგე ორი ადამიანის შეჯახება. ერთი მხრივ ქართველი თავადი ქ., მეორე მხრივ მისი მოხუცი ყმა ქალი, მისი ბავშვების ძიძა თ. თავადი იმდენად გულქვა აღმოჩნდება, რომ ყმა ქალს შვილს მოსწყვეტს და მეორე ბატონს ცხენში გაუცვლის. საბრალო დედა მებატონეს ეხვეწება შვილი დამიბრუნეო, მაგრამ ბატონი მას ლანძღვით გაისტუმრებს, რის შემდეგ ამ პასიურ და მორჩილ ქალში იღვიძებს ბატონყმური უსამართლობისა და სიმხეცესთან ბრძოლის აუცილებლობის შეგნება. გაბოროტებული ყმა აღსდგება გულქვა ფეოდალის წინააღმდეგ, წყევლა-კრულვას უგზავნის მას და მასთან საბრძოლველად კლდე-ღრეთა ჯურღმულებიდან შურისმაძიებელ ავ სულებს — ალებს გამოიწვევს.

გრიბოედოვი სწორად გვიხატავს ბატონყმური ცხოვრების სურათებს და მკაცრად აკრიტიკებს თავისი ეპოქის ძირითად სოციალურ ბოროტებას. რუსულ ლიტერატურაში რადიშჩევის შემდეგ ეს ყველაზე უფრო რადიკალური გამოსვლა იყო ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ.

„ქართული ღამე" მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ ზღაპრულ ფოლკლორთან. კერძოდ, ალების სახეები, რომლებიც გამოყვანილია გრიბოედოვის დაუმთავრებელ დრამაში, ხშირად გვხვდება ქართულ ფოლკლორში.

გრიბოედოვს ძლიერ უყვარდა საქართველო, საქართველოს ბუნება, ქართველი ხალხი. „საქართველო, — როგორც ერთ-ერთი თანამედროვე სწერს, — იყო მისი მოღვაწეობის ნამდვილი ასპარეზი; აქ გაატარა მან თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ლიტერატურულ შრომასა და სამსახურში. მას უყვარდა საქართველო ისე ფაქიზად, ისე მგზნებარედ, როგორც ძალიან იშვიათად თუ ვისმეს უყვარს თავისი საკუთარი სამშობლოც კი".

რუსეთისა და საქართველოს, ხალხისა და თავისუფლებისადმი ეს ულრმესი სიყვარული აძლევდა ძალას გრიბოედოვს გაბედულად აემაღლებინა თავისი პოეტური ხმა ჩაგვრისა და მონობის, დესპოტიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

ვანო შადური

„ვაი ჭკუისაგან" ქართულ სცენაზე

ალექსანდრე გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან" საქართველოში ჯერ კიდევ ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და მალე პოპულარულ ნაწარმოებად იქცა.

„ვაი ჭკუისაგან" პირველად ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში დაუდგამთ, მაგრამ როდის და რა სახით, ამის შესახებ მასალებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ქართველმა მწერლებმა ეს კომედია გასული საუკუნის 50-იან წლებში სთარგმნეს. დრამატურგმა გ. ერისთავმა რამდენიმე სცენა პირველმა სთარგმნა სახელწოდებით—„უბედური ჭკუისაგან". შემდეგ გიორგი წინამძღვაროვმა, რომელიც სახაზინო პალატაში მაგიდის უფროსად მსახურობდა, კომედიას სახელად უწოდა „ვაი ჭკუისაგან", სთარგმნა პროზით და წინასიტყვაობით გამოსცა 1853 წელს.

ეს კომედია 1886 წელს 23 თებერვალს კოტე მესხმა ქუთაისში დადგა თავის საბენეფისოდ, მაგრამ თუ როგორ ჩატარდა სპექტაკლი, ვინ რა როლს ასრულებდა—ცნობები არ მოიპოვება. 1887 წლის 11 იანვარს კ. მესხმა „ვაი ჭკუისაგან" თბილისში დადგა. ოფიციოზმა „კავკაზმა" თავის მკითხველებს ეს ამბავი ასე აცნობა: „კვირას 11 იანვარს ქართულ სცენაზე პირველად იქნება წარმოდგენილი ბ-ნ მესხის საბენეფისოდ გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან". თარგმანი შესრულა თბილისის საოლქო სასამართლოს წევრმა გ. წინამძღვაროვმა".

გ. წინამძღვაროვმა წაიკითხა თუ არა ეს ამბავი, თავზარი დაეცა: სად საოლქო სასამართლოს წევრი და სად ისეთი პიესის თარგმნა, როგორიც არის „ვაი ჭკუისაგან"? ამიტომაც წინამძღვაროვმა გაზეთ „კავკაზში" შემდეგი შინაარსის წერილი გამოაქვეყნა:

„მოწყალეო ხელმწიფევ ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის „კავკაზის" მერვე ნომერში დაბეჭდილია „სტატეიკა" იმის შესახებ, რომ კვირას 11 იანვარს ქართულ სცენაზე წარმოიდგინება გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან". ამ „სტატეიკის" ბოლოში ნათქვამია, რომ პიესის თარგმანი თბილისის საოლქო სასამართლოს წევრის გ. ბ. წინამძღვაროვის მიერ არის შესრულებული, მაგრამ როდის ვთარგმნე მე ეს პიესა, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ამის გამო მოწყალეო ხელმწიფევ ჩემო, უნდა გაცნობოთ, რომ თარგმანი პიესისა შევასრულე 1853 წელს, ე. ი. როდესაც ვიყავი არა წევრი საოლქო სასამართლოსი, არამედ ამიერ-კავკასიის სახაზინო პალატის „სტოლნაჩალნიკი". თვით თარგმანი ესე დაიბეჭდა იმავე 1853 წელს ხაზინის ხარჯზე, თვით მისი ბრწყინვალების აწ განსვენებულის კავკასიის ყოფილი მეფისნაცვლის თავად ვორონცოვის ნებითა და ბრძანებით."

წარმოდგენა დაიდგა. როლები მსახიობთა შორის ასე იყო განაწილებული: ჩაცკის როლს ასრულებდა თვით ბენეფიციანტი კოტე მესხი, ფამუსოვისას—ვ. აბაშიძე, მოლჩალინისას—ლ. მესხიშვილი, რეპეტილოვისას—დ. აწყურელი, ლიზას როლს—მ. საფაროვ-აბაშიძისა, სკალოზუბისას — ა. ცაგარელი. დადგმის შესახებ რეცენზია გამოაქვეყნა გაზეთმა „კავკაზმა" და მაღალი შეფასება მისცა როლების შემსრულებლებს. „ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა ლიზას როლში და ბ-ნი აბაშიძე ფამუსოვის როლში სრულიად მხატვრულად განასახიერებდნენ აღნიშნულ ტიპებს. ცუდი არ იყვნენ სკალოზუბი—ცაგარელი და ზოგიერთი მეორე ხარისხოვანი როლების შემსრულებელნი. ბ-ნი ალექსეევ-მესხიევი მოლჩალინის როლში შეუდარებელი იყო, თუმცა ზოგან აჭარბებდა და ამით შთაბეჭდილებას ანელებდა. ჩაცკი ბ-ნ მესხის განსახიერებით ძლიერ მონოტონური იყო და მხოლოდ ხანდახან ეტყობოდა მის თამაშს გამოცოცხლება. ბ-ნი აწყურელი რეპეტილოვის როლისათვის ძლიერ ახალგაზრდა და გამოუცდელია. კოსტიუმები საკმაოდ მისაღები იყო და ხელს უწყობდა კარგი შთაბეჭდილების მოხდენას"...

1891 წელს ვასო აბაშიძემ დადგა კომედიის მეორე მოქმედება. ეს დადგმა მით არის საინტერესო, რომ ფამუსოვის როლს ისევ ვ. აბაშიძე ასრულებდა, ჩაცკის როლს კი—რუსი მსახიობი კრემლევი რუსულ ენაზე. ასე რომ, პიესა ორ ენაზე ითამაშეს.

1900 წელს პოეტმა ქალმა დომინიკა განდეგილმა ლექსად სთარგმნა „ვაი ჭკუისაგან". მას საბოლოო რედაქცია გაუკეთა ილია ჭავჭავაძემ და იმავე 1900 წლის 19 ოქტომბერს ისევ დაიდგა თბილისის სცენაზე. აქაც მონაწილეობას იღებდნენ საუკეთესო ქართველი მსახიობები და სპექტაკლიც დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

ამის შემდეგ ეს კომედია აღარ გამოჩენილა სცენაზე 12 წლიწადს, ხოლო 1913 წელს ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობმა ტასო აბაშიძემ იგი დადგა თავის საბენეფისოდ. რეჟისორად იყო ლ. მესხიშვილი. როგორც „სახალხო გაზეთი" გადმოგვცემს, ამ დადგმისათვის შეუკერავთ ახალი ტანისამოსი და დაუხატავთ ახალი დეკორაცია, რაც მაშინდელი ქართული თეატრის ცხოვრებაში არც ისე ხშირი მოვლენა იყო. ბენეფიციანტი ტასო აბაშიძე ასრულებდა ლიზას როლს.

შემდეგ ეს შესანიშნავი კომედია ქართულ სცენაზე აღარ დადგმულა. სასურველია ჩვენი თეატრების ხელმძღვანელებმა იფიქრონ ამ ნაწარმოების დადგმაზე.

ს. გორსამია

ა. ს. გრიბოედოვის დღეები თბილისში

თბილისის საზოგადოებრიობა ემზადება დიდი რუსი მწერლის ა. ს. გრიბოედოვის დაბადების 150 წლისთავისათვის.

სახელმწიფო-სალიტერატურო მუზეუმში (დირექტორი გ. ლეონიძე) იხსნება ა. ს. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის ძირითადი თემაა: „გრიბოედოვი და საქართველო".

გამოფენის ექსპონატები ასახავენ ა. ს. გრიბოედოვის ფართო ნაცნობობას და კავშირს საქართველოს ლიტერატურულ საზოგადოებრიობასთან, მწერლის ცხოვრების უკანასკნელ წლებს, მის ურთიერთობას ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან, ა. ს. გრიბოედოვის თანამედროვე ქართველი საზოგადოების კულტურულ ცხოვრებას.

მუზეუმში ინახება მეტად ძვირფასი რელიკვიები და დოკუმენტები: ქორწინებათა ჩასაწერი წიგნი სიონის ტაძრისა, სადაც ა. ს. გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილზე — ნინო ჭავჭავაძეზე, პოეტის ზარდახშა, საწერი ხელსაწყო, ნინო ჭავჭავაძის სამაჯური და სხვ.

მუზეუმში ინახება აგრეთვე შვიდი ხელნაწერი კომედიისა „ვაი ჭკუისაგან". ზოგიერთი მათგანი გადაწერილია ავტორის სიცოცხლეში. ეს იმას მოწმობს, რომ უკვდავი კომედია ფართოდ იყო გავრცელებული ხელნაწერებად. ექსპონატთა შორის არის ხელნაწერი გიორგი ერისთავის თარგმანისა „ვაი ჭკუისაგან", აგრეთვე წინამძღვრიშვილისა და [illegible]

• • •

ა. ს. გრიბოედოვის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად [illegible] რაიონულ კლუბებში, ბიბლიოთეკებში და [illegible] ჩატარდება ა. ს. გრიბოედოვისადმი, კერძოდ საქართველოსთან მისი კავშირისადმი მიძღვნილი ლექციები, მოხსენებები, საღამოები. [illegible] „გრიბოედოვი და საქართველო".

• • •

20 იანვარს გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრი საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად მოაწყობს ლიტერატურულ საღამოს, მიძღვნილს დიდი რუსი მწერლის ა. ს. გრიბოედოვისადმი.

[illegible] II და III აქტი ა. ს. გრიბოედოვის კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან", რის შემდეგ შესრულდება კონცერტი.

ეს პროგრამა განმეორდება მოსწავლეთათვის 21 იანვარს დღით.

[illegible] 20 იანვრისთვის თეატრში გაიხსნება ა. ს. გრიბოედოვისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. (საქტაგი).

პუშკინი და გრიბოედოვი

ა. ს. გრიბოედოვი ხშირი სტუმარი იყო ვ. ა. ჟუკოვსკის, ნ. ი. გრეჩის, ვ. ფ. ოდოევსკისა და [illegible] ლიტერატურულ სალონებში. [illegible]

[illegible] პუშკინი თავის „არზრუმში მგზავრობაში" სწერს: „გრიბოედოვი გავიცანი 1817 წელს. მისი მელანქოლიური ხასიათი, მისი გაბოროტებული ჭკუა, მისი გულკეთილობა [illegible]

[illegible] — საიდან? [illegible] — რა მიგაქვთ? — გრიბოედი. [illegible]



პუშკინის შეხვედრა გრიბოედოვის ნეშტთან.
მხატვარ ვ. ვ. სოკოლოვ-სკალიას ნახატი
ფოტორეპროდუქცია ვლ. გინზბურგისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპეშები

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 13 იანვარი. (საკდეს). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ არდენის შვერილის ჩრდილოეთ ფლანგზე მოკავშირეთა ჯარებმა რამდენადმე წაიწიეს ბიენის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და დაიკავეს პუნქტი ლაგლირი. ამ რაიონში მოკავშირეები გააფთრებულ წინააღმდეგობას ხვდებიან და მოიგერიეს მტრის ადგილობრივი მნიშვნელობის რამდენიმე კონტრიერიში, ამასთან სერიოზული ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს. მოკავშირეთა ჯარებმა სამი მილით წაიწიეს ბუა დე ვიბრანისაკენ სამრეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, და ლაროშ—ბერტონის გზის გასწვრივ. ლაროშის სამხრეთით მოკავშირეთა ნაწილებმა შამპლონის გარეუბნებს მიაღწიეს. ჯარები, რომლებიც გარსშემოერტყნენ გერმანელთა მცირე დაჯგუფებას ბასტონის სამხრეთ-აღმოსავლეთით, განაგრძობენ რკალის შევიწროებას აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ბრასის რაიონში შეერთდნენ მოკავშირეთა ნაწილები, რომლებიც მოპირდაპირე მიმართულებებით უტევდნენ. ვარდენი და ბრასი ამჟამად მოკავშირეთა ხელშია. მოკავშირეთა ნაწილებმა წინ წაიწიეს აგრეთვე დონკოლს იქით. მოწინააღმდეგეს, რომელმაც სცადა გარემოცვიდან გაპრილიყო, სერიოზული ზარალი მიაყენა მოკავშირეთა არტილერიის ცეცხლმა.

ვილცის (ლუქსემბურგში) სამხრეთით მოკავშირეებმა წინ წაიწიეს ერთ მილზე მეტი მანძილით.

ქვემო ვოგეზებში მტრის სოლის რაიონში მოკავშირეებმა დაიკავეს ალტორნი. ადგილობრივი მნიშვნელობის წარმატებანი მიღწეულია აგრეთვე მოწინააღმდეგის სოლის სამხრეთ ფლანგზე.

მოკავშირეთა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის ცდა გაპრილიყო და მძიმე ზარალი მიაყენეს მას. მაჟინოს ხაზზე, ხაგენაუს ტყის ჩრდილოეთით. მოწინააღმდეგე განდევნილია რიტერსჰოფენიდან. გერმანელთა ხელშია მხოლოდ ერთი გამაგრებული პუნქტი რიტერსჰოფენის სამხრეთ გარეუბანში.

გატენში ბრძოლები გრძელდება.

ელზასის ვაკეში სტრასბურგის სამხრეთით მოგერიებულია მტრის რამდენიმე იერიში. არახელსაყრელი ამინდი კვლავ ზღუდავდა ავიაციის მოქმედებას.

ლონდონი, 13 იანვარი. (საკდეს). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-5 და მე-8 არმიების უბნებზე სიწყნარეა.

მდგომარეობა დასავლეთის ფრონტზე

ლონდონი, 13 იანვარი. (საკდეს). არდენში ინგლისელთა ჯარებთან მყოფი რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი იუწყება, რომ ამჟამად გერმანელებისაგან გაწმენდილია ვრცელი რაიონი; ეს რაიონი მდებარეობს იმ ხაზის დასავლეთით, რომელიც გადის ლაროშის სამხრეთით. გერმანელებისაგან გაწმენდილი რაიონი შეიცავს არდენის ტყის უმეტეს ნაწილს. ამით სოლი, რომელიც გერმანელებმა ჩაარჭეს 16 დეკემბერს დაწყებული შეტევის შედეგად, დაახლოებით სანახევროდ შემცირდა. ამერიკელთა ქვეითი ჯარი, რომელიც ჩრდილოეთის მიმართულებით უტევს, ახლა მხოლოდ ორნახევარ მილზე იმყოფება ინგლისელთა ჯარებისაგან, რომლებიც სამხრეთისაკენ უტევენ. ამერიკელთა ჯარებმა, რომელნიც ბასტონის დასავლეთით უტევენ, წინ წაიწიეს ორნახევარი მილით.

საალყო წესები მილანში

ლონდონი, 13 იანვარი. (საკდეს). როგორც ლონდონის რადიო გადმოგვცემს, ჩრდილოეთ იტალიის საოკუპაციო ხელისუფლებმა საალყო წესები გამოაცხადეს მილანში იქ დაწყებულ მასობრივ გაფიცვებთან და მღელვარებასთან დაკავშირებით. შვეიცარიიდან მიღებული ცნობებით, მილანის მრეწველობა სრულიად ჩამკვდარია. ქუჩებში შეტაკება ხდება ფაშისტებსა და წინააღმდეგობის ორგანიზაციათა წევრებს შორის. გერმანელთა ჯარებმა ალყა შემოარტყეს ქალაქის ცენტრს. გესტაპოს რაზმები სახლებში დადიან და იქ ჩხრეკას აწარმოებენ გაფიცვების მონაწილეთა აღმოჩენის მიზნით. მილანში დაპატიმრებულია 10.000-ზე მეტი კაცი.

ახალი სასიკვდილო განაჩენები გერმანიაში

ლონდონი, 13 იანვარი. (საკდეს). ლონდონის რადიო იუწყება, რომ ჰიტლერულმა სასამართლოებმა ახალი სასიკვდილო განაჩენები გამოიტანეს. მარტო ჰამბურგსა და შტეტინში „მავნებლური აქტებისა" და უცხოეთის რადიოს ფარულად მოსმენისათვის სასიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს 4 კაცს. გერმანიის იუსტიციის სამინისტროს ორგანოს „რაიხსგეზეტცბლატის" მიერ გამოქვეყნებულს ჰიტლერელთა იუსტიციის მინისტრ ტირაკის სტატიაში ნათქვამია, რომ გერმანიაში 1941 წელს გამოტანილ იქნა 1.292, ხოლო 1943 წელს—5.886 სასიკვდილო განაჩენი.

ეგვიპტის პარლამენტის არჩევნების შედეგები

კაირო, 11 იანვარი. (საკდეს). გუშინ გვიან საღამოს გამოცხადებულ იქნა ეგვიპტის პარლამენტის არჩევნების შედეგები. კენჭისყრა სწარმოებდა 264 ოლქში. 61 ოლქში 14 იანვარს შესდგა ხელახალი კენჭისყრა. დანარჩენ 203 ოლქში ვაფდისტებმა მიიღეს 94 ადგილი, ლიბერალებმა—55, მაკრამ-ფაშის ფაშისტურმა ბლოკმა—18, ნაციონალისტებმა—7, უპარტიოებმა—29 ადგილი.

ბულგარელ ომის დამნაშავეთა გასამართლება

სოფია, 13 იანვარი. (საკდეს). როგორც სოფიის რადიო იუწყება, 12 იანვარს ყოფილი რეგენტების, მინისტრებისა და მეფის მრჩეველთა პროცესზე დაიწყო ყოფილ პრემიერ-მინისტრ მურავიევის და რეგენტების—მთავარი კირილეს და მიხოვის დაკითხვა.

ბრალდებული მურავიევი ყოველნაირად ცდილობდა უარეყო თავისი დანაშაული. მაგრამ დაკითხვის მსვლელობაში ცხადი ხდება, რომ ყოფილი პრემიერი განაგრძობდა ბაგრიანოვის პოლიტიკას, რათა გერმანელებისათვის საშუალება მიეცა დაუბრკოლებლად წასულიყვნენ ბულგარეთიდან.

ბრალდებული მთავარი კირილე ამაოდ ცდილობდა თავი ეჩვენებინა საქმეს გაუცნობელ, პოლიტიკისაგან შორსმდგომ ადამიანად. თურმე მას „არ ახსოვს", როდის შეუერთდა ბულგარეთის მთავრობა სამთა პაქტს. მან „არაფერი იცის" ბულგარელ პატრიოტთა მასობრივი ჟლეტის შესახებ, მაგრამ, როცა სახალხო ბრალმდებელთ მოჰყავთ ციტატები მისი მამხილებელი დოკუმენტებიდან, იგი იძულებულია აღიაროს, რომ რეგენტის პოსტზე ყოფნის დროს პარტიზანთა დევნის საკითხი ათჯერ განიხილა მინისტრთა საბჭომ.

გენერალ მიხოვს, ისევე როგორც მთავარ კირილეს, თავი მოაქვს აპოლიტიკურ ადამიანად და ამასთან ერთად უტიფრად აღიარებს, რომ იგი არაფრად არ აგდებდა სასიკვდილო განაჩენთა გამოტანას და დამტკიცებას. მას არც უცდია უარეყო მისთვის წარდგენილი ბრალდება 400 სასიკვდილო განაჩენის გამოტანის შესახებ.

ლავალელი ბანდიტების ბუდე გერმანიაში

პარიზი, 13 იანვარი. (საკდეს). გაზეთი „ლიბერასიონ სუარი" აქვეყნებს გერმანიიდან ამას წინათ გამოქცეული ერთი ფრანგის განცხადებას. გერმანიაში ყოფნისას ამ ფრანგმა ნახა სიგმარინგენი, სადაც თავი შეუფარებიათ ვიშის „მთავრობის" ყოფილ წევრებს. იქ,—ამბობს იგი,—შეკრებილა მთელი ბნელი ბანდა: დებრინონი, დორიო, დეა, დარნანი და მრავალი სხვა, რომელთა საერთო რიცხვიც დაახლოებით 1.200 კაცს აღწევს. სიგმარინგენში შექმნილია სამი „სამინისტრო". ეს მასკარადი იმისათვის არის მოწყობილი, რომ სიგმარინგენში თავმოყრილ გამცემლებს შესაძლებლობა მიეცეთ ფლანგონ საფრანგეთიდან მათ მიერ გაზიდული სახელმწიფო სახსრები, რაც 38 მილიარდ ფრანკს შეადგენს.

დარნანის, დორიოს და სხვა გამცემთა საქმიანობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ცდილობენ შექმნან ორგანიზაცია, რომლის მიზანია მღელვარების გამოწვევა საფრანგეთში. ამისათვის მათ შექმნეს სპეციალური სწავლების ცენტრები, განზრახული აქვთ საფრანგეთში გაგზავნონ აგენტები, რომლებიც საფრანგეთში მიმალულს ლავალისა და პეტენის მომხრეებს გადასცემენ ბრძანებებს. ყველას, ვისაც ამ საქმეში მონაწილეობას სთავაზობენ, დიდ პრემიებსა და საუცხოო პირობებს ჰპირდებიან. სწავლების ცენტრებში განზრახულია მოამზადონ ჯაშუშები და დივერსანტები, რომლებსაც პარაშუტებით ჩაუშვებენ საფრანგეთში. ზოგიერთი პირი უკვე აბერხებს გადავიდეს საფრანგეთში შვეიცარიით, სადაც ისინი ლტოლვილებად ასაღებენ თავს. ყველა ამ ადამიანს დიდი სახსრები აქვს დივერსიული აქტების მოსაწყობად.

თელავის მუზეუმის ათი წლისთავი

თელავის მუზეუმს ათი წლისთავი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე მუზეუმი საქართველოს მოწინავე კულტურულ დაწესებულებათა რიგში ჩადგა. მუზეუმმა დააგროვა ბევრი სამეცნიერო მასალა. რომლებიც ჩვენი მეცნიერების ყურადღებას იპყრობენ. ასეთია, მაგალითად, მეთვრამეტე საუკუნის ხელნაწერი „ვისრამიანი", ერეკლეს სასახლიდან გადმოტანილი. ეს ხელნაწერი იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ახლა მის მიხედვით უნდა შესწორდეს დაბეჭდილი ტექსტი, რომელიც აქამდე საბოლოოდ დადგენილად მიაჩნდათ. საყურადღებოა ბევრი სხვა ხელნაწერი და სიგელ-გუჯრებიც.

თელავის მუზეუმის დაარსებამდე იყალთოს აკადემიისა და მისი მიდამოების, გრემის ნაქალაქარისა და მისი სარწყავი არხის არქეოლოგიური შესწავლა არავის უწარმოებია. მუზეუმმა ეს ობიექტები შეისწავლა 1938-1941 წლებში. საამისოდ კონსულტანტად მოწვეული ჰყავდა აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი და ჩვენი მაღალკვალიფიციური სხვა მეცნიერული ძალები. ამის შედეგად გამზადდა შრომები და დასაბეჭდად გადაეცა სათანადო ორგანიზაციებს.

მუზეუმმა მოაწყო ბოტანიკური, გეოლოგიური და ბალნეოლოგიური ექსპედიციები. შეგროვილ იქნა ცივ-გომბორის ჩრდილოეთ კალთებზე თელავის რაიონის ჰერბარიუმი, მადნეულთა ნიმუშები და პალეონტოლოგიური ნაშთები: უძველესი დროის სპილოს-ელეფას მერიდიონალისის და კავკასიის ტიპის მარტორქის ძვლები.

ბალნეოლოგიური ექსპედიცია ორი კვირის მანძილზე აწარმოებდა მდინარე სტორის სათავეში ცხელი მინერალური წყლების—„თორღვას აბანოს" შესწავლას. ექსპედიციამ გამოარკვია ცხელი წყლის დებიტი, მკურნალობის პირობები და თვისებები, დასახა ღონისძიებანი აქ კურორტის გასაშენებლად, ჩაატარა პირველი კეთილმოწყობა ავადმყოფთათვის ბარაკების ასაგებად, მოაწყო აბაზანები, გააფართოვა მისასვლელი გზები.

კახეთის შესწავლის საქმის გასაადვილებლად მუზეუმმა შეადგინა „კახეთის ბიბლიოგრაფია" ორ ტომად—ქართულად და რუსულად — დაახლოებით 500 გვერდის ოდენობისა. ეს წიგნი-ცნობარი შეიცავს ყველა ავტორის გვარს, ვისაც კი ოდესმე 1942 წლამდე ქართულად ან რუსულად რაიმე დაუწერია კახეთზე.

მუზეუმის ეზოში მოეწყო საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი. აქ გადმოსვენებულ იქნა რაფიელ ერისთავის, ბარბარე ჯორჯაძის და იოსებ დავითაშვილის ნეშთები. პანთეონში მათ დაედგმებათ ძეგლები.

თელავის რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებისა და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს ყურადღება მუზეუმისადმი იმის საწინდარია, რომ მომავალში ჩვენ მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ.

ალ. მამულაშვილი
თელავის მუზეუმის დირექტორი

საერთაშორისო მიმოხილვა

ტექსტი გერმანიის სარდლობის დაშიფრული დეპეშისა ჰიტლერელთა გარშემორტყმული ჯარების სასოწარკვეთილი მდგომარეობის შესახებ, რომელიც ბუდაპეშტში ხელთ ჩაგვივარდა, საუკეთესოდ მოწმობს ფრონტის ამ უბანზე შექმნილ ვითარებას. როგორც დეპეშიდან სჩანს, გერმანელები თვითონ სთვლიან, რომ „მეტი გაძლება შეუძლებელია".

ჰიტლერელებს მდგომარეობა უიმედოდ მიაჩნიათ, მაგრამ ისინი მაინც აიძულებენ თავიანთ ჯარისკაცებს ბოლომდე გასწიონ შეუპოვარი წინააღმდეგობა. გერმანიის სარდლობას ალყაშემორტყმული ჯარების საშველად მიჰყავს დიდი ძალები და ცდილობს გაიჭრას ქალაქისაკენ. მაგრამ ასეთი ცდები გერმანელებს ძვირად უჯდებათ. ათასობით მოკლული და ტყვე ჯარისკაცი და ოფიცერი, ასობით დაზიანებული ტანკი და საარტილერიო ქვემეხი — ასეთია ამ ცდათა შედეგები. სალაშის ხროვა თავის რადიოგადაცემებში, რომლებიც ბუდაპეშტისათვის არის განკუთვნილი, ცდილობს მოუწოდოს ქალაქის მოსახლეობას გარშემორტყმული გარნიზონის დასახმარებლად და დახმარებას ჰპირდება ამ გარნიზონს. მაგრამ, გამოხატავდა რა გერმანიის მხრივ ბუდაპეშტის გარნიზონის მხარდაჭერის პირმოთნე იმედს, უნგრეთის „პრემიერ-მინისტრის" მოადგილე სელაში იძულებული იყო განეცხადებინა, რომ უმჯობესია გვახსოვდეს უნგრული ანდაზა — „თვითონვე უშველე თავს, მაშინ ღმერთიც გიშველის".

ბუდაპეშტში გარშემორტყმულ ჯარებს საეჭვოა რჩებოდეთ დახმარების იმედი, ვინაიდან გერმანელები, ფრონტზე ჩასულ ჰიტლერელთა ჯარების გენერალური შტაბის უფროს გუდერიანთან ერთად, მათ ხსნას ვერ მოუტანენ. ჰიტლერის უკანასკნელი სატელიტი ფაქტიურად აღარ ემსახურება გერმანელებს და „თვით" ჰიტლერმა საახალწლო სიტყვაში სათვალავიდან უკვე გამორიცხა უნგრეთი.

წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე უნგრელი ხალხი შეუდგა ახალი ცხოვრების მშენებლობას. „საბჭოთა არმია, ნათქვამია ლონდონში არსებული უნგრელთა კლუბის მიერ გამოცემულ ბროშურაში, არ ერევა უნგრეთის საშინაო საქმეებში. უფრო მეტიც, იგი ყოველნაირად ეხმარება უნგრელ ხალხს ჩვენი ქვეყნის აღდგენაში, თანახმად ხალხის სურვილებისა და ზრახვებისა". უნგრელი ხალხი ახლა საქმით დარწმუნდა საბჭოთა კავშირის დიდსულოვნებაში, დარწმუნდა იმაში, რომ წითელ არმიას არა აქვს დამპყრობლური მიზნები, რომ იგი მხოლოდ ისწრაფვის მოსპოს ფაშისტური ბატონობა და გაათავისუფლოს ჩაგრული ხალხები.

* * *

ორი ფრონტის მარწუხში მომწყვდეული ჰიტლერული გერმანია მძიმე დღეებს განიცდის. ნაცვლად გებელსის მიერ აღთქმული გამარჯვებისა, რომელიც მწიფე ნაყოფივით თითქოს დაეცემოდა გერმანელ ფაშისტთა ფეხთან, გერმანელებს სულ სხვა „ნაყოფი" ეცემათ თავზე. ავიაციის თავდასხმები, სამხედრო და სამრეწველო ობიექტებზე ჩამოყრილი ტონობით ბომბები, ათასობით მოკლული და დაჭრილი — ასეთია ყოველდღიური შედეგი, რის შეჯამებაც ჰიტლერელებს უხდებათ. დასავლეთის ფრონტზე გერმანელთა კონტრშეტევის მარტო თორმეტი დღის განმავლობაში, როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, მოკავშირეებმა გერმანიის ჯარების კოლონებს ჩამოაყარეს 35 ათასი ტონა ბომბი, ჩამოაგდეს და დაზიანეს გერმანელთა თითქმის 1.100 თვითმფრინავი, მოსპეს და მწყობრიდან გამოიყვანეს ათასამდე ტანკი და 5 ათასამდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად.

ჰიტლერელებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ კონტრშეტევის წარმატების იმედი, ისინი ჯერ კიდევ ცდილობენ მოსინჯონ მოკავშირეთა არმიების ფრონტი ცალკეულ უბნებზე. მაგრამ უკვე ახლა სავსებით შეიცვალა მათი კილო პრესაში. გებელსის პროპაგანდა კონტრშეტევასთან დაკავშირებით აცხადებდა, რომ ომის მსვლელობაში ვითომცდა დადგა გარდატეხა გერმანელთა სასარგებლოდ. იგი ცდილობდა გაეყრუებინა ხალხი გამარჯვების მომასწავებელ დაფდაფთა ხმაურით. ჰიტლერელები, როგორც ამას მოწმობს ბრძოლების რაიონში ხელთ ჩაგდებული ბრძანებები, ამოცანად ისახავდნენ გაჭრილიყვნენ ლიეჟისაკენ, დაეკავებინათ ბრიუსელი და ანტვერპენი, გაქანებულიყვნენ სედანისა და ვერდენისაკენ და 1 იანვარს დაეკავებინათ საფრანგეთის დედაქალაქი პარიზი. ეს იყო ცდა გერმანიის გამოყვანისა იმ კატასტროფული მდგომარეობიდან, რომელშიც იგი აღმოჩნდა. ეს იყო დარტყმა, რაც ნავარაუდევი იყო არა მარტო იმისათვის, რომ გაემხნევებინათ „სულით" დაცემული გერმანელი ხალხი, არამედ აგრეთვე შეერყიათ მოკავშირეთა რწმენა გერმანელების გარდუვალი დამარცხებისა და მიეღწიათ კომპრომისული ზავისათვის. გეგმები, რა თქმა უნდა, წარმტაცი იყო! მხოლოდ მათი შესრულება ჰიტლერელებმა ვერ შესძლეს, ვინაიდან მათ უკვე აღარა ჰყავთ საამისოდ საჭირო რეზერვები.

ახლა ყველასათვის ცხადია, რომ გერმანელების მიერ დასავლეთში წამოწყებული ავანტიურა ჩაიფუშა და ვერავითარი ახალი შფოთიერი ღონისძიებანი ვერ იხსნიან ჰიტლერულ გერმანიას. აი რატომ იყო, რომ გერმანიის პრესამ მკვეთრად უცვალა ტონს და აცხადებს, რომ საჭირო არ არის მეტისმეტად გატაცება წარმატებებით, საჭირო არ არის ილუზიების შექმნა. ჰიტლერელი სამხედრო მიმომხილველი პალენსლებენი უკანასკნელ მიმოხილვაში იძულებულია აღიაროს, რომ „გერმანელებს საკმაოდ დიდი ზარალი მოსდით". გერმანიის სარდლობის 11 იანვრის ცნობაში უკვე ნათქვამია, რომ გერმანიის ჯარებმა „მოწინააღმდეგის მოუძალებლად დაიხიეს ფრონტის უბნიდან, რომელიც გადის მდინარე ურტზე დასავლეთის მიმართულებით, და დასტოვეს ქალაქი სენტ-იუბერი".

ნაცნობი სიტყვები! ამასთან დაკავშირებით როგორ არ უნდა გავიხსენოთ ჰიტლერის საახალწლო განცხადება, რომ ჰიტლერელები, რომლებიც ვითომც გახდნენ თავიანთ მოკავშირეთა „გამცემლობის მსხვერპლი", „იძულებული შეიქნენ ზოგიერთი ფრონტიდან უკან დაეხევინებინათ თავიანთი ჯარებისათვის და შეემოკლებინათ სხვა ფრონტების ხაზი".

ჰიტლერს „აერია" შედეგი და მიზეზი და მან არ ისურვა გამოტეხილიყო იმაში, რომ სწორედ წითელი არმიის მძლავრი შეტევისა და გამანადგურებელი დარტყმების შედეგად დაიშალა დანაშაულებრივი ფაშისტური ბლოკი, რომ სწორედ საბჭოთა და მოკავშირეთა ჯარების ერთობლივი მოქმედების შედეგად ჰიტლერელები განდევნილ იქნენ შუა იტალიის, საფრანგეთის, ბელგიისა და საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან. მტერი უკუვაგდეთ მის საზღვრებამდე. გერმანია ყოველი მხრივ ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. გერმანიის სარდლობას ახლა აგრეთვე არ სურს აღიაროს ის უბრალო და ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტი, რომ „მოუძალებლად უკანდახევა" დასავლეთის ფრონტზე ნამდვილად ნიშნავდა მათი ავანტიურის ჩაშლას, რაც შედეგად მოჰყვა მოკავშირეთა არმიების დარტყმას რუნდშტედტის ჯარებისადმი.

* * *

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის გარდაქმნა პოლონეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობად პოლონელი ხალხის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის აქტს წარმოადგენს. ამ მოვლენას გაცხოველებით უკეთებს კომენტარს უცხოეთის პრესა. საფრანგეთის რადიო თავისი მიმომხილველის პოლიტიკურ კომენტარში აღნიშნავს, რომ ლონდონში მყოფი პოლონელი მმართველები სრულიად მოსწყდნენ თავის ხალხს და არ ისურვეს ანგარიში გაეწიათ მისი სურვილებისათვის. მათ დაჰკარგეს არა მარტო თავიანთი მოქალაქეების ნდობა, არამედ მოკავშირე ქვეყნების ხალხთა ნდობასაც ჰკარგავენ. „პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი ლიუბლინში, რომელიც დროებით მთავრობად გარდაიქმნა, წარმოადგენს ნამდვილ დემოკრატიულ ხელისუფლებას, რომელიც თავის მოღვაწეობას ხალხის მისწრაფებებზე ამყარებს", აცხადებს მიმომხილველი.

პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა მოკლე დროში დიდი მუშაობა გასწია გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებულ პოლონურ მიწაზე ცხოვრების აღსადგენად. გამოცოცხლდა მრეწველობის მუშაობა, მოქმედებს ათასობით სახალხო და ასობით საშუალო სკოლა და კურსები, გაიხსნა მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლები. განხორციელებულია მიწის რეფორმა. უმიწო და მცირემიწიან გლეხთა და სასოფლო-სამეურნეო მუშათა 100 ათასზე მეტმა ოჯახმა უკვე მიიღო მიწა თავის განკარგულებაში.

დროებითი მთავრობის მონაწილე დემოკრატიულ პარტიათა გარშემო დაირაზმნენ ხალხის ფართო მასები. ისინი თავიანთ ძალებს ახმარენ თავისუფალი და დემოკრატიული პოლონეთის დაცვას.

* * *

ბულგარეთში 20 დეკემბერს დაიწყო გასამართლება ომის დამნაშავეებისა — გამცემლებისა და ჯალათებისა, რომლებმაც ბულგარელი ხალხი ჩაითრიეს ომში გერმანელთა მხარეზე. სახალხო სამსჯავროს წინაშე ზედიზედ გამოდიან მეფის ყოფილი მრჩევლები, მინისტრები და დეპუტატები. ისინი ყველანი არა მარტო ეხმარებოდნენ გერმანელებს გადაექციათ ბულგარეთი ჰიტლერული გერმანიის ერთ-ერთ სამხედრო-სტრატეგიულ ბაზად, არამედ დაუნდობელ ბრძოლასაც ეწეოდნენ სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტებისა— ბულგარელი პარტიზანების წინააღმდეგ, რომლებიც გერმანელ დამპყრობლებსა და მათს ბულგარელ მომხრეებს ებრძოდნენ.

ბულგარელი ხალხი თავის რეზოლუციებში, რომლებსაც ხალხმრავალ მიტინგებსა და კრებებზე იღებენ, მოითხოვს სამართლიან გასწორებას პირსისხლიან ჯალათებთან.

გასამართლება ბულგარეთში — მრისხანე გახსენებაა იმ გარდუვალი ხვედრისა, რაც მოელით ომის მთავარ გამჩაღებლებს — ჰიტლერელ მეთაურებს. საყოველთაო-სახალხო სამსჯავროს მრისხანე აჩრდილი უკვე დასტრიალებს თავს ფაშისტ მეთაურებს და ჰიტლერელებისათვის არავითარი შებრალება არ იქნება.

ი. გლოტოვი

თბილისის კიროვის ქარხნის საამქროს ოსტატი ი. უკოლოვი (მარჯვნივ) ამოწმებს ხარატ თენგიზ ჩარკვიანის მუშაობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის 1-ლი სამეცნიერო სესია

6-10 იანვარს ჩატარდა საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის I სამეცნიერო სესია.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ორი მოხსენება: დ. ყიფშიძისა—ამხანაგ სტალინის წიგნი — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ" და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ამოცანები"; აკადემიკოს დ. უზნაძისა—„პედაგოგიკა და ფსიქოლოგია". პირველ მოხსენებაში ნაჩვენები იყო, თუ როგორ განავითარა და გაამდიდრა ამხანაგმა სტალინმა მოძღვრება კომუნისტური აღზრდისა და სკოლის შესახებ.—დიდი სტალინის წიგნმა,—აღნიშნა მომხსენებელმა, — ახალი თაობის სწავლისა და აღზრდის საკითხები ახლებურად დააყენა. მთავრობის ყველა ღონისძიება სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის, რომელიც მიღებულ იქნა სამამულო ომის პერიოდში, გამომდინარეობს ამხანაგ სტალინის წიგნიდან „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ".

აკადემიკოსმა დ. უზნაძემ დაწვრილებით გაარჩია პედაგოგიკის კავშირი ფსიქოლოგიასთან, კერძოდ განწყობის ფსიქოლოგიის მნიშვნელობა საბჭოთა პედაგოგიკის შემდგომი განვითარების საქმეში.

დ. უზნაძისა და დ. ყიფშიძის მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა გ. ახვლედიანმა და შ. ნუცუბიძემ, პროფესორმა გ. გეხტმანმა, დოცენტებმა: ა. ფრანგიშვილმა, ბ. ხაჭაპურიძემ, ვ. ქაჯაიამ.

პედაგოგიკა-პედაგოგიკის ისტორიის სექციაში წაკითხულ იქნა მოხსენებები: „ზნეობრივი აღზრდა საბჭოთა სკოლაში" (გ. თავზიშვილი), „კომკავშირი და სკოლა" (ი. ბოცვაძე), „აღზრდის ამოცანები სკოლამდელ პერიოდში და დიდაქტიკური მასალების სერიები" (ბ. ხაჭაპურიძე), „კოლხიდის რიტორიკული სკოლის ისტორიულ-კულტურული წინამძღვრები" (შ. ნუცუბიძე), „იოანე ბაგრატიონის პროექტი საქართველოში უმაღლესი სკოლის დაარსების შესახებ" (შ. ნუცუბიძე), „მაკარენკოს პედაგოგიკა" (ვ. კილაძე).

აკადემიკოს შ. ნუცუბიძის აზრით საქართველოში IV საუკუნეში არსებული კოლხიდის რიტორიკული სკოლის ისტორიულ-კულტურული წინამძღვრები საქართველოს გარეთ (კერძოდ, საბერძნეთში) კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ თვით საქართველოში. ამას ბევრი საბუთი ადასტურებს.

დოცენტმა ბ. ხაჭაპურიძემ თავის მოხსენებაში დაახასიათა ის ნაყოფიერი მუშაობა, რაც ჩატარდა საქართველოში სკოლამდელი აღზრდის თეორიისა და პრაქტიკის დარგში განწყობის ფსიქოლოგიის საფუძველზე.

მეთოდიკის სექციაში მოსმენილ იქნა მოხსენებები: „აწმყოს ბუნება და ფუნქცია ფრანგულ ენაში" (ივ. კაჭაძე), „შვიდწლიანი სკოლის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის პრინციპები" (გ. ბარამიძე), „სიტყვარი — მინიმუმი რუსული ენის სწავლების პირველ წელს" (ვ. ავალიშვილი), „დარვინიზმის საფუძვლების სწავლების საკითხისათვის" (ე. ვასაძე), „გეომეტრიული ამოცანების ამოხსნის საკითხები საშუალო სკოლაში" (ს. ცხაკაია), „შედარებითი მეთოდის გამოყენება გეოგრაფიის სწავლებაში" (მ. ლომინაძე), „არაორგანული ქიმიის კურსის გამეორება მეათე კლასში" (ნ. ჯაფარიძე), „სავალენტო ცხრილის გამოყენება ქიმიის შესწავლისას" (ე. გიორგაძე).

სესიის სხდომებს დაესწრნენ თბილისის სკოლების მასწავლებლები, მეცნიერებათა აკადემიის, უნივერსიტეტის, პედაგოგიური ინსტიტუტების, თბილისის პედაგოგიკის კაბინეტის მუშაკები.

ე. დმიტრაშის გასტროლები

თბილისში ჩამოვიდა მოსკოვის სახელმწიფო დიდი აკადემიური თეატრის ბალეტის მსახიობი ე. დმიტრაში. 19 იანვარს ე. დმიტრაში სტალინური პრემიის ლაურეატ ვ. ჭაბუკიანთან ერთად გამოვა ბალეტ „დონ-კიხოტში".

დისერტაციის დაცვა

18 იანვარს, დღის 3 საათზე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) ამხ. **იოსებ თეიმურაზის-ძე ბჟალავა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ეპილეპსიის ფსიქოპათოლოგიისათვის"**. ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **პ. ქავთარაძე**, პროფესორი **ა. ზურაბაშვილი** და პროფესორი **რ. ნათაძე**.

რედაქციისაგან

„კომუნისტის" 13 იანვრის ნომერში დაბეჭდილ ცნობაში — „საქართველოს სს რესპუბლიკამ შეასრულა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები", — მესამე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების კალენდარული გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 117,3 პროცენტით".

თეატრებში

14 იანვარს: სახელმწიფო ოპერა—„ჩიო-ჩიო-სან". **რუსთაველის სახელობის** — „ზოგჯერ ბრძენიც შესცდება". **მარჯანიშვილის სახელობის** — „უმზითვო". **გრიბოედოვის სახელობის** — „სამი და". **ახუნდოვის სახელობის** — „აშუღ ყარიბი". **მუსიკალური კომედიის** — „არშინ-მალ-ალან". **სანკულტურის**—„სევდიანი რომანი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ვალია სოკოლოვა", **რუსული**—„შენი სახლი".

კინოებში

14 იანვარს: რუსთაველის სახელობის — 1) ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად 1944 წლის 6 ნოემბერს — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 27 წლისთავი" და 2) „იყო ერთი გოგონა". **ოქტომბერი** — „იყო ერთი გოგონა", **დამკვრელი**—„საღამოს 6 საათზე ომის შემდეგ". **კომკავშირელი** — „ნატვრის თვალი". **სპარტაკი** — „სიმღერა რუსეთზე". **ლუქსემბურგის სახელობის** — „უკანასკნელი ღამე". **26 კომისრის სახელობის** — „ჯუნგლი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სს რესპუბლიკის ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე სხვა დასახლებულ პუნქტებში მტკიცე საპასპორტო რეჟიმის დამკვიდრების მიზნით საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველო აცნობებს ყველა მოქალაქეებს საპასპორტო კანონის ძირითად დებულებებს, სახელდობრ:

1. ის პირები, რომელთაც შეუსრულდებათ 16 წელი, ვალდებულნი არიან მიიღონ პასპორტები სამილიციო განყოფილებებში თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. ახლად ჩამოსული მოქალაქენი მოვალენი არიან დაუყოვნებლივ ჩაეწერონ საბინაო წიგნში სათანადო სამილიციო განყოფილებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილას გადასულები ამოეწერონ საბინაო წიგნაკიდან. პასპორტში კი დასმულ იქნას შტამპი ამოწერის შესახებ.

შენიშვნა: ის პირები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ადგილებში მიდიან საცხოვრებლად და პასპორტში არ არის აღნიშვნა ამოწერის შესახებ, მილიციის ორგანოების მიერ ჩაწერილი არ იქნებიან საბინაო წიგნაკში ახალ საცხოვრებელ ადგილზე.

3. პასპორტის ვადის გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ მიმართეთ მილიციის ორგანოს პასპორტის გამოსაცვლელად ან ვადის გასაგრძელებლად.

4. მუშა-მოსამსახურეთა პასპორტებში უნდა იყოს აღნიშვნები მათი სამუშაო ადგილის შესახებ, ხოლო წასვლის შემთხვევაში აღნიშვნები მათი დათხოვნა-განთავისუფლების შესახებ.

5. პასპორტის დაკარგვის თვითეულ ცალკე შემთხვევაში დაუყოვნებლივ განუცხადეთ მილიციის ორგანოს მისი აღდგენის შესახებ.

მოქალაქეები, რომლებიც დაარღვევენ ამ წესს, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე მილიციის
მე-3 რანგის კომისარი ნაჭყებია

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1945 წლის 23 იანვარს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის შენობაში (მარის ქ. № 33) სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **ალისტრო არსენის-ძე ოსეფაშვილი** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ღრმა ხვნის (საპლანტაჟე) გუთნების შერჩევის შედეგები ა.-კ. მევენახეობის პირობებისათვის"**.

ოფიციალური ოპონენტები მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **კ. მ. ამირაჯიბი**, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ა. აფხაიძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **მიხეილ დიმიტრის-ძე მჭედლიძემ** მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპექტზე № 109 აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **ნადეჟდა ივანეს-ასულ ბარბაქაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლოში.

შვილიშვილები ნარა, ლეილა, მერი, კოტე, გუგული, სიძეები ერმალო, შურა, ალექსანდრე, შალვა, რძალი ლილი იუწყებიან **მარიამ თაქთაქიშვილის** გარდაცვალებას.

ა. იმნაძე, მ. კვარაცხელია, გ. ზუმბურიძე, ა. პანკვეტაძე, ს. ხარილავა, გ. ჩაჩხიანი, გ. ხურცილავა, მ. ნუცუბიძე იუწყებიან ს. მარგველაშვილის შვილის **დალის** გარდაცვალებას.

მეუღლე ვალოდია, შვილები მაყვალა, ავთანდილ, ნუნუ, დები მარო, ანა, კატო, ძმები გიორგი, ვახტანგ ებრალიძეები იუწყებიან **ლიზა ბუნტურის** გარდაცვალებას.

მეუღლე მიხეილ, შვილები ანდრო ცოლშვილით და თამარ კაპანაძეები, სიძე გიორგი გელაძე იუწყებიან **მარიამ კაპანაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16/I.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის საინჟინრო ინსტიტუტის პროფკომი იუწყება სტუდენტ ა. თ. შენგელიას ძმის **ნიკო შენგელიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 14/I, 4 ს. ბრძოლის, 39.

შვილები დომენტი, ვლადიმერი, დავითი, კონსტანტინე, რძლები ქეთო, ლიდა, ნადია და ნინო ოდიკაძეები შვილებით იუწყებიან მამის **ალფეზ ოდიკაძის** გარდაცვალებას.

შვილები უშანგი, მიშა, რძალი ნინო, შვილიშვილები ზურაბ, ლერი იუწყებიან **ელისაბედ სოლომონის-ასულ წიქორიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16/I-და 17/I, 6 ს. გამოსვენება 18/I, 5 ს. ჟორესის, 52.

რკინიგზის № 22 ტექნიკუმის ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან შ. ნიკოლაიშვილის ძმის **ილია ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე მარიამ, შვილები ნინო, მიხეილ, მარო, ამბერკი ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ სიმონის-ძე ჟორჟოლიანის** გარდაცვალებას.

დედა მელანია, მეუღლე ვერა შვილებით, და თამარ, ძმები ვალოდია, შალვა ცოლშვილით იუწყებიან **ილია გიორგის-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას.

არტელ „ინშრომას" მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან თებრო შოგირაძის შვილიშვილის **ანზორ წოწონავას** გარდაცვალებას.

დაკარგულია ა.-კ. რკინიგზის ბუფეტების ტრესტის სამმართველოს დამზადების და მომარაგების ბაზის მრგვალი ბეჭედი. ჩ. ვ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91.800 უე 00207